პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
25 დეკემბერი
№ 295 (18237)
ფასი 2 კაპ.

სოციალიზმის, აღმშენებლობის საიმედო დამცველი

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან და ულოცავენ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ჩეკისტთა სახელოვან კოლექტივს ღირსშესანიშნავ მოვლენას — საქართველოს საგანგებო კომისიისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების 60 წლის თავს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე შექმნილმა საგანგებო კომისიისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებმა ექვსი ათწლეულის მანძილზე გამოიარეს გმირული გზა, თავდადებით იღვწოდნენ საქართველოს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის, ფხიზლად იდგნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, საიმედოდ იცავდნენ სამშობლოს გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის ხრიკებისაგან.

ფ. ე. ძერჟინსკის აღზრდილებმა, რომლებიც წმიდად ასრულებდნენ ვ. ი. ლენინის ანდერძს, ამრავლებდნენ და ავითარებდნენ საბრძოლო ტრადიციებს, გვიჩვენეს საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ყველა ფრონტზე ვაჟკაცობის, გმირობის, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების ნიმუში. ღირსეულად გაუძღვეს საქართველოს ჩეკისტებმა ხერიოზულ განსაცდელს დიდი სამამულო ომის წლებშიც. მათ თავდადებით შეასრულეს თავიანთი უწმინდესი მოვალეობა მამულის წინაშე.

მშვიდობიან ომის შემდგომ წლებშიც რესპუბლიკის ჩეკისტები მუდამ იყვნენ საბჭოთა ხალხის კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. საბჭოთა ჩეკისტებთან ერთიან შეკავშირებულ მწყობრში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ყოველნაირად და მტკიცედ იცავენ აღმშენებლობითს შრომას იმპერიალისტური დაზვერვების მტრული ხრიკებისაგან, საზღვარგარეთის ანტისაბჭოური ცენტრების ფარული თუ აშკარა ძირგამომთხრელი მოქმედებისაგან, თავდადებით და ერთგულად იცავენ საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებს.

რესპუბლიკის ჩეკისტები, რომლებიც გამოხატავენ სოციალიზმის ჰუმანურ ხასიათს და მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ახალი კონსტიტუციის დებულებების განუხრელი დაცვის საფუძველზე, თავიანთ კეთილშობილურ საქმიანობას ახორციელებენ ლენინური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრძნული ხელმძღვანელობით, მშრომელთა უფართოეს მასებთან მჭიდრო და განუყრელი კავშირით.

ეფექტიანად ასრულებენ რა თავიანთ ძირითად ფუნქციებს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად, ჩეკისტები აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე საბჭოთა საქართველოს მშრომელთა უკომპრომისო ბრძოლაში ნეგატიური მოვლენების, დამნაშავეობის, ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის ანტიპოდების წინააღმდეგ, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებების შესაბამისად.

როცა რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის სამახსოვრო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის პარტორგანიზაციის საქმიანობას, რომელმაც პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად.

ეს მაღალი შეფასება სამართლიანად განეკუთვნება ჩეკისტთა უაღრესად რთულ შრომას სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ჩეკისტები ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთ მოწინავე რაზმს შეადგენენ. მაღალი პატივი და პასუხისმგებლობაა საბჭოთა ჩეკისტების რიგებში განაგრძო საქმე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს დიდმა ლენინმა, რევოლუციის რაინდმა ფ. ე. ძერჟინსკიმ, ჩვენმა საუკეთესო მამულიშვილებმა. მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე, პროფესიონალიზმი, ვაჟკაცობა და გულადობა, კომუნისტური მგზნებარება და რწმენა, უდრეკი ნებისყოფა, პატიოსნება, ყოველივე ის, რაც ეხოდენ ზედმეწევნით არის გამოხატული ფრთოსანი სიტყვებით — „ჩეკისტად ყოფნა შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც მოსდგამს სიდარბაისლე, აქვს მგზნებარე გული და შეუღალავი სინდისი“, — აი საბჭოთა ჩეკისტების ის საყოველთაოდ აღიარებული თვისებები, მთელი საბჭოთა ხალხის ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს რომ იმსახურებს.

სკკპ XXVI ყრილობაზე გამოსვლისას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა პარტიის, ყველა მშრომელის უღრმესი მადლიერება საბჭოთა ჩეკისტების მიმართ. რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქმიანობას დადებითი შეფასება მიეცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზეც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები კვლავაც ღირსეულად გაამართლებენ პარტიის მაღალ შეფასებას, ნდობას და მშრომელთა მხარდაჭერას, ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო თანამოქმედების მეოხებით ეფექტიანად იბრძოლებენ სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ, საიმედოდ დაიცავენ საბჭოთა მოქალაქეების ულრუბლო ზეცას, მათ მშვიდობიან, აღმშენებლობითს შრომას.

ჭება და დიდება საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს — ქვეყნის ჩეკისტთა მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ანამედროვე ნივერსიტეტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მიერ უმაღლესი სკოლის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში დიდი როლი ეკისრებათ უნივერსიტეტებს. ისინი მოწოდებული არიან გახდნენ წამყვანი სასწავლო-მეთოდიკური და სამეცნიერო ცენტრები, იყვნენ სპეციალისტთა მომზადების დონის ეტალონი, გავლენა მოახდინონ თავიანთი რეგიონების ეკონომიკური, [illegible]ლური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეზე.

[illegible] ქვეყანაში ახლა მოქმედებს 68 სახელმწიფო უნივერსიტეტი. [illegible] შრომობს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებისა და [illegible]ერების ყველაზე მნიშვნელოვანი და გამოცდილი რაზმი, რომ[illegible] შორის 3.750-ზე მეტი მეცნიერების დოქტორია, ყოველ[illegible]რად ამ უმაღლეს სასწავლებლებს დიპლომებს იღებს ახი[illegible]კაცზე მეტი — უმაღლესი სასწავლებლების ყოველი მერვე [illegible]დამთავრებული. საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს მოსკო[illegible]ლენინგრადის, ტარტუს, ტაშკენტის, თბილისის, ყაზანის უნი[illegible]ტეტებში ჩამოყალიბებულმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა [illegible]ებმა. მასწავლებელთა წამყვან კოლექტივებს ახასიათებს პარ[illegible]ობის ატმოსფერო, უნარი იმისა, რომ შეიახამონ ტრადიციები [illegible]ოვატორობა, სტუდენტებს გამოუმუშაონ იდეური მრწამსი, [illegible]ითი მუშაობის ჩვევები, ახალგაზრდობა აზიარონ კულტურის [illegible]ვალებს.

[illegible]ბლების საუნივერსიტეტო დონე ემყარება ფუნდამენტურ [illegible]ბლენათა ღრმად შეთვისებას. მომავალ სპეციალისტებს უწი[illegible] ყოველისა ლექციებზე უყალიბდებათ მეცნიერული აზროვნება, [illegible]ისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. ნიჭიერ მეცნიერე-[illegible] პედაგოგებთან ცოცხალ ურთიერთობას სტუდენტები შეჰყავს [illegible]ელოვან მეცნიერული პრობლემების სამყაროში, უღვივებს [illegible]ოებას დამოუკიდებლად დაეწაფონ ცოდნას, ამავე დროს [illegible]ქციო კურსების ხარისხი ყოველთვის როდია დამაკმაყოფი[illegible]ლი. მაგალითად, უდმურტეთის უნივერსიტეტში ლექციების [illegible]ნელოვან ნაწილს კითხულობენ ასისტენტები, თუმცა ბევრ [illegible]ნტნა და უფროს მასწავლებელს ნაკლები დატვირთვა აქვს. [illegible]ოსტეტების რექტორატები, პარტიული კომიტეტები მო[illegible]ული არიან ლექტორის კათედრა მიანდონ ყველაზე გამოცდილ [illegible]ალისტებს, უფრო თამამად მიიზიდონ სტუდენტურ „უდიტო[illegible]ში აკადემიური და დარგობრივი ინსტიტუტების მეცნიერები.

[illegible]ნივერსიტეტო მომზადების ხარისხს ამცირებს სპეციალიზა[illegible] ზედმეტი გატაცებაც, რომელიც იწვევს თეორიის გარკვეულ [illegible]ებას მისი პრაქტიკული გამოყენებისაგან. როგორც წესი, [illegible]ოლოდ სტუდენტების ზედმეტ დატვირთვას იწვევს საუდიტო[illegible] მეცადინეობის რიცხვისა და შესასწავლი დისციპლინების რა[illegible]ობის გადიდების ხარჯზე. ამის შედეგად კი, მაგალითად, [illegible]ოლოგი, რომელმაც განათლება მიიღო უნივერსიტეტში, კარ[illegible]არ ითვლეს თავს ლაბორატორიული კვლევის მეთოდოლოგიას, [illegible] იბნევა შრომითს კოლექტივებში, რომელთა საქმიანობა უნდა [illegible]ეკმაოსოს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების [illegible] საკავშირო და რესპუბლიკურმა სამინისტროებმა უფრო ზუსტად უნდა გაუწიონ კონტროლი სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ყოველთვის შეუჯერონ ისინი სახალხო მეურნეობის რეალურ მოთხოვნილებებს.

[illegible]ასმეორი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიტეტი დიდად გა[illegible]ვრება კვლევით სამუშაოთა მნიშვნელობითა და მასშტაბით. [illegible] თანამედროვე უნივერსიტეტს, საკუთარი შემოქმედებითი [illegible]ციალის ზრდის გარდა, შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს რეგი[illegible] უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერების ეფექტიანობის [illegible]ლებლადაც, გზა გაუკაფოს კვლევის ორგანიზაციისა და და[illegible]ს ახალ პროგრესულ ფორმებს. ამას მოწმობს როსტოვის [illegible]ერსიტეტის გამოცდილება, რომელსაც შესანშნავი წვლილი [illegible]ს ჩრდილოეთ კავკასიის უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ცენ[illegible] განვითარებაში. განვლილ ათწლეულში ცენტრის მეცნიერე[illegible]ტეტურად მონაწილეობდნენ ისეთი პროგრამების შემუშავება-[illegible]როგორიც არის „ინტერკოსმოსი“, „ინტერტვინი“, „ვიბროსეის-[illegible]ვერგა“, განმტკიცდა უმაღლესი სასწავლებლების კავშირურ-[illegible]თოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლის [illegible]ორდინაციო გეგმებით წარმოეს ორახზე მეტი თემის კვლევა. [illegible]ობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უფრო გა[illegible]ლად უნდა წაახალისონ უნივერსიტეტების ინიციატივა უმაღ[illegible] სასწავლებლის მეცნიერების განვითარებისათვის.

[illegible]ერი უნივერსიტეტი თავის აღზრდილთა დაახლოებით ოთხმოც[illegible]ენტს სამუშაოდ გზავნის სახალხო განათლების სისტემაში. [illegible]ო უკრაინაში ყოველწლიურად მასწავლებელი ხდება უნივერ[illegible]ტეტის ოთხი ათასზე მეტი კურსდამთავრებული. ამის გამო [illegible]ოსული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ სტუდენტებმა [illegible]ავლონ პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, დაეუფლონ სწავლე-[illegible] მეთოდიკას. მოსაწონი და გასავრცელებელია ხარკოვისა და [illegible]ორუსის უნივერსიტეტების გამოცდილება, რომლებმაც მოაწ[illegible] სპეციალური პედაგოგიური განყოფილებები, სადაც სტუ-[illegible]ტების შერჩევა ხდება დამოუკიდებელი კონკურსით. ამავე დროს [illegible] კიდევ უნივერსიტეტის დიპლომიანი ბევრი მასწავლებელი არ [illegible] განაწილების ადგილზე. სახალხო განათლების ორგანოებმა [illegible] დაამყარონ წესრიგი, რათა ყოველი ასეთი სპეციალისტი [illegible]ეთ აღრიცხვაზე და წინასწარ აძლევდნენ მიმართვას სკო[illegible]ს, სადაც აღნიშნული იქნება სასწავლო დატვირთვა და საც[illegible]ებელი ბინით უზრუნველყოფის საკითხები.

[illegible]საუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ უნივერსიტეტებს, [illegible] პარტიულ ორგანიზაციებს უმაღლესი სასწავლებლების მასწა[illegible]ელთა მომზადების ხარისხისათვის, იშვიათი არ არის, როცა [illegible]ლეს სკოლაში ფუძემდებელი კურსების ლექციებსა და სე[illegible]ებს ანდობენ სპეციალისტებს, რომლებსაც არ შესწევთ ახა[illegible]ულ აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარი, არ ფლობენ [illegible]ენტარულ პედაგოგიურ ხერხებს. ცხადია, ეს იწვევს გაუმართ[illegible]ად დიდ დანაკარგებს, მათ შორის ჩამორჩენილი სტუდენ-[illegible] უმაღლესი სასწავლებლებიდან გარიცხვას. უმაღლესი და [illegible]ალური სპეციალური განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის [illegible]ლეს საატესტაციო კომისიასთან ერთად დამატებითი ღონისძი-[illegible] უნდა განახორციელოს, რათა აამაღლოს უმაღლესი სკოლის, [illegible]ოლოგიისა და პედაგოგიკის გამოკვლევათა პრესტიჟი, შემო-[illegible] მათი სავალდებულო სწავლება უნივერსიტეტების ასპირანტუ-[illegible].

[illegible]უკანასკნელ ოცდახუთ წელიწადში ქვეყანაში გაჩნდა ათობით [illegible] უნივერსიტეტი. ბევრი მათგანი უმაღლესი სასწავლებლების [illegible]ციული ცენტრების დახმარებით სწრაფად მოღონიერდა, [illegible]ტებით განაგრძობს საბჭოთა უმაღლესი სკოლის საუკეთესო [illegible]ციებს. ახე ხდება, მაგალითად, კრასნოიარსკში, ტიუმენში, [illegible]ულში, სადაც ნოვოსიბირსკიდან ჩავიდნენ მაღალკვალიფიცი-[illegible] სპეციალისტთა ჯგუფები. მაგრამ ზოგჯერ ჩამოყალიბების [illegible]ცესი ჭიანურდება იმის გამო, რომ კადრებით შევსება წინასწარ [illegible]ად არ ყოფილა დაგეგმილი. დღეს გამოცდილი მასწავლებ-[illegible] მწვავე ნაკლებობას განიცდიან ახლახან შექმნილი გროდ-[illegible]ნუელის, ყარაღანდის უნივერსიტეტები. განსაკუთრებით შე-[illegible]ბელია, როცა კადრების დენადობა აფერხებს ჩამოყალიბ-[illegible] კოლექტივების განვითარებას. მაგალითად, უკანასკნელ [illegible] ბინების ნაკლებობის გამო ახლით მასწავლებელმა, მეც-[illegible]ების კანდიდატმა და დოქტორმა დატოვა ირკუტსკისა და [illegible]ული აღმოსავლეთის უნივერსიტეტები, ადგილობრივი საბ-[illegible] აღმასკომები, პარტიული და პროფკავშირული კომიტე-[illegible] მოვალენი არიან სერიოზული ყურადღება დაუთმონ ამ სა-[illegible]ებს.

[illegible]ითწლობით სულ უფრო შესამჩნევია უნივერსიტეტების [illegible] ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში, განათლებაში. [illegible] მათი ყოველი მასწავლებელი და სტუდენტი თავიანთი სახ-[illegible]ებლების შესანიშნავი ტრადიციების მაღალი მისიის ღირსი [illegible].

მიფრინავს „კოსმოს-1130“

[illegible]საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თა[illegible]ერი „კოსმოს-1130“.

[illegible]ამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს [illegible]ური სივრცის კვლევას.

[illegible]ამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. [illegible]ორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს ინფორმაციას.

გაზეთ „პრავდის“ რედაქციას

დაბადების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, „პრავდაში“, სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიასა და რადიოში ჩემს სახელზე მოვიდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების, სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, ლენინური პარტიისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანების — თანამებრძოლი ამხანაგების მრავალრიცხოვანი მოლოცვები და მისალმებები, რომლებშიც ყოველივე საუკეთესოს მისურვებენ. მიღებულია აგრეთვე მომმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა მოსალოცი დეპეშები და წერილები.

ნება მიბოძეთ, „პრავდის“ ფურცლებიდან გულითადი და წრფელი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მეგობრულად მომესალმა და მომილოცა.

იუბილეს დღეს კვლავ ვიგრძენი, რომ ჩემი ცხოვრება განუყრელად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედ-იღბალთან, საუკუნის საქმეებთან. ეს მოლოცვები მიმახსენა არა მარტო ჩემი პირადი დამსახურების აღიარებად, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობის, მისი კეთილშობილური საპროგრამო მიზნების მხარდაჭერად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობის გამოხატულებად, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული კურსის, დედამიწის მთელ თავისუფლებისმოყვარე, პროგრესულ ძალებთან ჩვენი სოლიდარობისა და თანამშრომლობის, ჩვენი დაუცხრომელი მეცადინეობის მოწონებად და მხარდაჭერად, რომლის მიზანია კაცობრიობას თავიდან ავაცილოთ ბირთვული კატასტროფის საფრთხე, დავამკვიდროთ მშვიდობა პლანეტაზე.

ჩემთვის ძვირფასი მშრომელთა მოლოცვები, წერილები და დეპეშები მკაფიოდ ასახავს მათს იმედებსა და გულისთქმას — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ნათელი მომავლისა და აყვავების რწმენას. ისინი შეიცავს კომუნიზმის მშენებლობაში ახალ გამარჯვებათა მოპოვების სურვილებს. ეს შთამაგონებელი აზრები და სურვილები მინერგავს ოპტიმიზმს, მმატებს ენერგიასა და სიმტკიცეს ჩვენი პარტიის წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

ყველაფერს, რაც ამ დღეებში ჩემი მისამართით ითქვა, მივაკუთვნებ მთელ ჩვენს მშობლიურ პარტიას, რომელიც მართლაც განასახიერებს ჩვენი ეპოქის გონებას, სინდისსა და პატიოსნებას.

ლ. ბრეჟნევი.

წინასაახალწლო ნოგათეები

წალენჯიხა

ხუთწლედის პირველ წელს დამკვრელურად ირჯებიან და კარგ შრომითს წარმატებებს აღწევენ წალენჯიხელი მეცხოველეები. მათ ჯერ კიდევ დეკემბრის მეორე დეკადაში 102 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიური გეგმები. 101 ათასით გადაამეტეს კვერცხის დამზადების წლიურ გეგმასაც.

რაიონში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა პირუტყვის ინტენსიური სუქნების საქმეს. ამის წყალობით წლეულს წალენჯიხელი ფერმის მუშაკების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა 296 კილოგრამი იყო, რაც 22 კილოგრამით სჭარბობს შარშანდელ შესაბამის წონას, ხოლო რესპუბლიკურ საშუალო მაჩვენებელს 41 კილოგრამით აღემატება.

„კომუნისტის“ კორ.

მარნეული

მებოსტნეებს, რომლებმაც წლეულს რეკორდული მოსავალი მოიწიეს, დამკვრელურ შრომაში ტოლს არ უდებენ აქაური მეცხოველეები. მათ წარმატებით დაიწყეს პირუტყვის გამოზამთრება და ვადამდე შეასრულეს ხორცის, რძის და კვერცხის დამზადების გეგმები. შარშანდელზე მეტი მიეყიდა სახელმწიფოს: 322 ტონა ხორცი, 244 ტონა რძე, 206 ათასი ცალი კვერცხი.

მარნეულელი მეცხოველეები, რომლებიც ჩაბმული არიან სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წლის ბოლომდე სახელმწიფოს დამატებით მიჰყიდიან 350 ცენტნერ ხორცს და 1200 ცენტნერ რძეს.

„კომუნისტის“ კორ.



ხუთწლედის ტრასა

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე, რომელიც ძირითადი მიმართულებებით არის გათვალისწინებული, მოქმედებს მუშობის ზუსტი რიტმი. ჯერჯერობით აგებულია 25 კილომეტრიანი გადასარბენი, მას უკვე მოაქვს სარგებლობა სახალხო მეურნეობისათვის.

მშენებლები შრომობენ დევიზით: „ვიმუშაოთ ეფექტიანად და ხარისხიანად!“





სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) — მშენებელი ოსტატი ლ. მორჩილაძე, მშენებელი შ. ოსეფოვი, 692 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი ინჟინერი ჯ. ჯიოშვილი, მშენებელი ოსტატი დ. ქავთარაძე, გეოდეზისტი ა. მარტასოვი და მშენებელი მ. ბაირამოვი; მშვიდობიანი აფეთქებები ტერიტორიას ასწორებს ლიანდაგის დასაგებად; რკინიგზის ლიანდაგის დაგება 26-ე კილომეტრზე; მოწინავე მექანიკოსკავატორი, კომუნისტი უ. ხელიძე მარაბდა-ახალქალაქის გზის მშენებლობაზე პირველი დღიდან მუშაობს. (საქინფორმი).

პარტიული გრუნვა წარმოების კულტურისათვის

სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში „მონისა“ და ქარხანაში გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის თბილისის საქალაქო კომისიის გაფართოებული სხდომა. მის მუშაობაში თბილისის ყველა რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სხდომის გახსნისას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა თქვა, რომ ინსტიტუტსა და ქარხანაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას დევიზით — „საწარმოს ყოველ რგოლს — წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა“ — მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქალაქის ბევრ სამეცნიერო დაწესებულებაში, საწარმოებში, იგი მოიწონა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა.

იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც კოლექტივმა შეიძინა წარმოების მაღალი კულტურისათვის შეჯიბრების გაწევის საქმეში, ილაპარაკა „მონის“ დირექტორმა რ. ი. ჩიქოვანმა.

საქართველოს კომპარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ა. წულაძემ სხდომის მონაწილეებს უამბო, თუ როგორ ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციები რაიონის სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივთა სოციალისტურ შეჯიბრებას დევიზით: „გადავაქციოთ რაიონის საწარმოები და ორგანიზაციები მოწინავეებად დარგში, რესპუბლიკაში“.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა.

სხდომის მუშობაში მონაწილეობდნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზ. შ. მესხიშვილი. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

23 დეკემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კოგოს სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში 1981 წლის 13 მაისს.

ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორი მხარის ვალდებულებებს მჭიდროდ ითანამშრომლონ საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ინტერესებისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებისადმი წინააღმდეგობის მიზნით. ხელშეკრულების ეს დებულებანი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მიზეზით გამწვავებულ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში. მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი — ევროპასა თუ ამერიკაში, აზიასა თუ აფრიკაში — არა არის რა იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ იბრძოლონ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის, თერმობირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის, განიარაღებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთხმად დაამტკიცა საბჭოთა კავშირისა და კოგოს სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

სხდომაზე განიხილეს საკითხი 1981 წელს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში განხორციელებისათვის დასახული ძირითადი ღონისძიებების გეგმის შესრულების შედეგებისა და 1982 წლის მუშაობის გეგმის შესახებ. ინფორმაციაში, რომელიც გააკეთა ვ. ვ. კუზნეცოვმა, აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლისათვის დასახულ ძირითად ღონისძიებათა გეგმა მთლიანად შესრულდა.

განიხილეს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სოციალური პროგრამის განხორციელებაში აზიაზეთის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების ურთიერთმოქმედების საკითხი. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, აზიაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. შიბაევმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა გამოცდილება შეიძინეს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოს საქმეთა მართვაში მასების უფრო ფართოდ ჩაბმისათვის, შეეხო სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან პროფკავშირების ურთიერთმოქმედების აერსპექტივებს, ამ ურთიერთმოქმედების ძირითად მიმართულებებს.

აზიაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაეკალა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო დახვეწოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების თანამშრომლობა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების შესრულებაში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობების ამაღლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტაში. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს წინადადება მიეცათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი პროფკავშირულ ორგანიზაციებს სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

შემდეგ განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „ადგილობრივი რესურსების ხარჯზე მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების გასაფართოებლად აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და ესტონეთის სს რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შესახებ“.

პრეზიდიუმმა განიხილა ინდოეთში, ეთიოპიაში, პერუსა და ეკვადორში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციათა ვიზიტების შედეგები და მოიწონა დელეგაციათა მიერ გაწეული მუშაობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის ინფორმაციის გამო მიღებულია დადგენილება სსრ კავშირის სახელმწიფო ჯილდოების გადაცემისათვის მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

განიხილეს აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, გ. ვ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ტ. ი. კისელიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტრო

თუ ყაირათი არ იცი...

ხულ მალე მიიწურება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი. როგორ ვიშრომეთ ამ დროის მანძილზე სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, რა მიღწევები გვაქვს და, რაც მთავარია, რა არის საჭირო არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, უკეთ მუშაობისათვის? ბევრ სხვა მნიშვნელოვან მომენტთან ერთად ამ უმთავრეს საკითხებს დაეთმო განსაკუთრებული ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე. მის მასალებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დებულებებსა და დასკვნებს ახლა საფუძვლიანად ეცნობიან და მათი მიხედვით სამომავლო გეგმებს სახავენ წითელწყაროს რაიონის მშრომელები, კომუნისტები.

„ეკონომიკური პოლიტიკის ღერძი, — თქვა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ხდება თითქოსდა მარტივი და ყოვლად ჩვეულებრივი საქმე — ყაირათიანი დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი, უნარი სრულად, მიზანშეწონილად ვიყენებდეთ ყოველივეს, რაც კი გვაბადია. ამას უნდა ისახავდეს მიზნად შრომითი კოლექტივების ინიციატივა, პარტიულ-მასობრივი მუშაობა. ამას უნდა ისახავდეს მზნად ტექნიკური პოლიტიკაც, კაპიტალურ დაბანდებათა პოლიტიკაც, საგეგმო, საანგარიშო მაჩვენებელთა სისტემაც“.

როგორც ცნობილია, ამ პრობლემას დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზეც. რა ქმედება ამ მხრივ წითელწყაროს რაიონში?

პარტიის რაიკომმა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა ერთობლივად განიხილეს ეს საკითხი, დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი.

იმ საწარმო-ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელობამ საქმე გულთან მიიტანეს, გაანალიზეს გაწეული საქმიანობა და მდგომარეობის გამოსწორება, მომავალში უკეთ მუშაობის მიზნით კონკრეტული ამოცანები დასახეს, საქმე კარგად მიდის.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პურკომბინატის, ყველ-კარაქის მეთაური ქარხნის, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც წლის განვლილ მონაკვეთში სათბობი მასალების მნიშვნელოვანი ეკონომია გასწიეს. დიდძალი ელექტროენერგია დაზოგეს ზემო ქედის და წითელწყაროს კოლმეურნეობებმა, მეფრინველეობის ფაბრიკამ, პროდუქტების სარეალიზაციო ბაზამ.

მაგრამ ყველგან არ არის ასეთი კარგი შედეგები. ამავე პერიოდში ქ. წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ლიმიტით გათვალისწინებულზე 330.800-ით, ხოლო სოფელ ოზაანის კოლმეურნეობაში 47.500 კილოვატსაათით მეტი ელექტროენერგია გადახარჯეს. ამან, რა თქმა უნდა, თავისთავად დიდი ზიანი მიაყენა კოლმეურნეობათა ეკონომიკას. და მით უფრო ცუდია, რომ ამის შესახებ არც ადრინდელ პარტიულ კრებებზე და არც ახლახან გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არავის უთქვამს თუნდაც რამდენიმე სიტყვა. და განა მარტო ამაზე? კრებებზე არც პირუტყვის საკვების ეკონომიური ხარჯვაზე, წელულს მის ცუდად მოვლა-შენახვაზე (რის გამოც გაუარესდა საკვების ხარისხი) დაუძრავს ვინმეს კრინტი. არადა, ყოველივე ეს ხომ აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს მის ხარისხს? განა ეს საკითხები ასე უყურადღებოდ უნდა დაეტოვებინათ აქაური კომუნისტებს?!

დიდძალი ელექტროენერგია — 133.300 კილოვატსაათი გადახარჯეს აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წითელწყაროს საფლესე კირქვების მაღაროსამმართველოში, 280 ათასი კილოვატსაათი — „საქსახსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებაში და ა. შ.

ყოველივე ეს ხომ, უწინარეს ყოვლისა, აქაური კომუნისტების უგულისყურობის ბრალია, იმის შედეგია, რომ ისინი არც თვითონ ზრუნავენ სათანადოდ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, საწვავ-საპოხი მასალების ყაირათიანად ხარჯვისათვის და არც აღმინისტრაციის მიერ ამ მხრივ გაწეულ საქმიანობას აკონტროლებენ? და, განა სწორედ საქმისადმი უგულისყურო დამოკიდებულებაზე არ მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში ელექტროენერგიის მმსსატრებისა და აღრიცხვისათვის გამოყოფილი არა ჰყავთ კვალიფიციური მუშაკები. მოუწესრიგებელია ელექტრომეურნეობა, ელექტრომრიცხველები და სხვ.? ზოგან კიდევ მთელი დღის მანძილზე ტყუილუბრალოდ არის ჩართული ელექტროლამპები, ნათურები.

აი ამის ერთი კონკრეტული მაგალითი: რაიონის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა გულისტკივილით თქვეს: სამზარეულოში, სადაც ზოგჯერ მთელ დღეს ელექტროლუმენებზე ათი მანეთის კერძი არ კეთდება, ორი და სამი იმდენი ღირებულების ელექტროენერგია იხარჯებაო!

განა შეიძლება სახალხო დოვლათისადმი ასეთი დაუდევარი დამოკიდებულება?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა, რომ, თუმცა გათვალისწინებულია ენერგიისა და სათბობის, განსაკუთრებით გაზის წარმოების შესაძრნევი ზრდა, მაგრამ სწრაფად იზრდება ქვეყნის მოთხოვნილებანიც.

უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა თუ არა, ვინ უნდა ითავოს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით განხორციელებისათვის ზრუნვა? ამედია, რომ წითელწყაროელი კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს, ამ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.



სურათზე: ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი ოთარ ხუციძე, რომელმაც საშუალოდ ფურზე 2100 კილოგრამის ნაცვლად 2700 კილოგრამი რძე მოწველა.

3. გენგიურის ფოტო.

სიტყვა უშუალო, მართალი

საზოგადოება „ცოდნა“ — გეგმები, მიზნები, პროგბლემები

ახლა, როცა უაღრესად დიდი მოთხოვნილებაა მართალი სიტყვის, ნათელი აზრის, პოლიტიკური და მეცნიერული მიღწევების პროპაგანდაზე, საზოგადოება „ცოდნა“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მერვე პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებით, დასკვნებითა და მითითებებით.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ იმსჯელეს და სპეციალური დადგენილებაც მიიღეს ზემდგომმა ორგანოებმა. მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის 1981 წლის 8 აპრილის დადგენილება „მოსახლეობაში სამედიცინო ცოდნის პროპაგანდის საქმეში ერთობლივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების შესახებ“.

ამის საფუძველზე შემუშავდა 1981-1985 წლების პერსპექტიული გეგმა, რომელიც რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის შემდგომი განმტკიცებისა და ამ მიმართულებით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებების შესრულებას ითვალისწინებს. იზრდება ლექციების რაოდენობა და ხარისხი. მედიცინის აქტუალურ საკითხებზე ლექციებს კითხულობენ გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები (ა. ზურაბაშვილი, ო. ღუდუშაური, ბ. ნანეიშვილი, ი. ფაღავა, ე. გობრონიძე, ვ. ალადაშვილი, გ. ბახტაძე, გ. ტატიშვილი, ვ. ვერულაშვილი და სხვ.).

სამედიცინო თემებზე ლექციური პროპაგანდა რამდენადმე თავისებური და განსხვავებულია, ლექციებს დიდი გულისყურით ისმენენ. შესაშინეთა შეკითხვების სიუხვე. ერთ-ერთ საწარმოში შესვენების პერიოდში ეგრეთ წოდებული ლექტორის დღე მოეწყეთ. ლექციები თითოეულ საამქროში ცალ-ცალკე ტარდებოდა. შესვენების დრო ამოწურა, მუშებმა ლექციის გაგრძელება მოითხოვეს და ადმინისტრაციას აღუთქვეს, გაცდენილ საათებს სამუშაოს დამთავრების შემდეგ შევავსებთო.

შექმნილია სამედიცინო-სამეცნიერო მეთოდიკური საბჭო, რომელიც რაიონებიდან მიღებულ ლექციების ტექსტებს ასწორებს და მათ შეფასებას იძლევა. მოგეხსენებათ, სამედიცინო ცოდნის პროპაგანდა უშუალოდ დაკავშირებულია პრაქტიკულ დახმარებასთან, ეს კი ზრდის მის მნიშვნელობას. რაიონის მშრომელებმა წინასწარ იციან, მედიცინის რომელი დარგის სპეციალისტები მოდიან ლექციების წასაკითხავად. ამის მიხედვით იკრიბებიან ავადმყოფებიც. თეორიული კონფერენციის დამთავრების შემდეგ მათ სინჯავენ, რჩევა-დარიგებებს აძლევენ და საჭირო შემთხვევაში ადგილზე ან თბილისის კლინიკურ საავადმყოფოებში ათავსებენ, მძიმე ავადმყოფებს ბინაზე უტარდებათ კონსულტაცია. ადგილებზე ჩასული მედიკოსი ლექტორები აწარმოებენ სამკურნალო დაწესებულებებში შემოვლას და საჭირო მეთოდიკურ მითითებებს აძლევენ მედპერსონალს.

გასულ წელს ხაშურში სამედიცინო პროპაგანდისტულ ღონისძიებას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ო. ღუდუშაური. საავადმყოფოს დათვალიერების შემდეგ უნდა დაწყებულიყო თეორიული კონფერენცია. ამ დროს საავადმყოფოში მოიყვანეს ავტოავარიის შედეგად მძიმედ დაშავებული მანდილოსანი, რომელსაც კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინეს და გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნა ჩამოსულმა მედიკოსთა ბრიგადამ. თუმცა კონფერენციის დაწყება ერთი საათით დაგვიანდა, მაგრამ დარბაზიდან არც ერთი მსმენელი არ წასულა და ოფლში გაღვრილ აკადემიკოს ო. ღუდუშაურს მსმენელები ოვაციით შეხვდნენ. ასეთი შემთხვევა არცთუ იშვიათია.

მომდინარე წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში, ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით, ექიმთა ბრიგადა დუშეთში გაემგზავრა თეორიული კონფერენციის გასამართავად. ბრიგადის წევრები — პროფესორები გ. ტატიშვილი, ვ. ვერულაშვილი და დოცენტი ი. კაკვიძე ორი ავტომანქანის ერთმანეთთან შეჯახების მომსწრენი გახდნენ და მაშინვე ავარიისადან მძიმედ დაშავებული შვიდი მგზავრის გადარჩენას შეუდგნენ. ორი მათგანი სიკვდილის პირას იყო მისული. იქვე აღმოჩენილ პირველი დახმარება. შემდეგ „ცოდნის“ მიკროავტობუსში მოათავსეს, დუშეთის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს და, ადგილობრივ მედიკოსებთან ერთად, საჭირო სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს. საბედნიეროდ, ყველა დაშავებული გადარჩა. ამის გამო ლექტორებს კონფერენციაზე დაუგვიანდათ.

უშუალო და მართალი სიტყვა დამაჯერებელია და ზემოქმედების ძალაც მეტი აქვს.

ანგარიშგასაწევია დღევანდელი მსმენელის გათვითცნობიერებულობა, რაც ზრდის ლექტორის პასუხისმგებლობას და აუცილებელს ხდის მის შესაფერის მომზადებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ 1980 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მერვე პლენუმზე ვრცლად ილაპარაკა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის მნიშვნელობაზე.

რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელმა გააანალიზა საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობა და აღნიშნა ფრიად მნიშვნელოვანი ხარვეზები: პრიმიტივიზმი, ჩამორჩენილობა, ზოგჯერ არაგულწრფელობა ლექციურ პროპაგანდაში და უპატიოცემულო დამოკიდებულება აუდიტორიისადმი. დაგვეგულა, რომ ავამაღლოთ ლექციის ხარისხი, არ გავაუფასუროთ იგი, არ გამოვეკიდოთ რაოდენობას, ვიბრძოლოთ მაღალი დონის, მაღალი კვალიფიკაციის ლექციისათვის, გავცდეთ ლექციურ პროპაგანდაში ერთხელ ჩამოყალიბებულ შტამპს და ვეძიოთ საზოგადოების წინაშე გამოსვლის ახალი, გაუჯობესებული მეთოდები.

დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ლექციის წაკითხვამდე საზოგადოებრივი აზრის გაგებას: რა აინტერესებს, რა შემადგენლობაა, რა პრობლემები აღელვებს ამა თუ იმ კოლექტივს. ამ მხრივ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. ლექტორს უნდა ახსოვდეს, რომ იგი ნიადაგ უნდა ზრუნავდეს პროფესიონალიზმის დახვეწისა და იდეური დონის ამაღლებისათვის.

საზოგადოება „ცოდნის“ მერვე პლენუმზე ე. შევარდნაძემ წამოაყენა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა: თანამედროვე ადამიანის ერთი მთლიანი შეხედულების ჩამოყალიბების საჭიროება, როცა იგი ერთნაირად აზროვნებს და მოქმედებს ოჯახში, ტრიბუნასთან, თავის კოლექტივში.

რა სიძნელესაც უნდა წავაწყდეთ, უნდა მივაღწიოთ ჭეშმარიტ გულწრფელ განწყობილებას, გულახდილობას ყველგან და ყველა ვითარებაში. მაშინ ამოცანა არსებითად გადაწყვეტილი იქნება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ მოყვანილია ბევრი საგულისხმო და დამაფიქრებელი ფაქტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საზოგადოების გამგეობას ნაკლოვანებებისა და ხარვეზების უმოკლეს ვადაში გამოსწორება, საზოგადოების ყველა რგოლში მუშაობის ძირეული გარდაქმნა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების მიხედვით. ამ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებაში მითითებულია ლექციურ პროპაგანდაში გამოჩენილ მეცნიერთა, სახალხო მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მონაწილეობის აუცილებლობა.

საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ უკვე განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შემუშავებულია რესპუბლიკური საზოგადოების ძირითადი მიმართულებები, შედგენილია ლექციური პროპაგანდის, 1981-1985 წლების ხუთწლიანი გეგმა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის ყველა პროფილისათვის. მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში გამართულ საიუბილეო დღეებში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებებისა და რჩევა-დარიგებების პროპაგანდას. გათვალისწინებულია წარმოების მოწინავეების, ლაურეატების, შრომის გმირებისა და ნოვატორების მუშაობის გამოცდილების შესწავლა და გავრცელება; პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ღონისძიებანი.

საზოგადოების 1981-1985 წლების სამუშაო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვას და მედიცინის მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდას.

დასახული გეგმის შესრულება მოითხოვს რესპუბლიკის ინტელიგენციის, საზოგადოების ყველა აქტივისტის დარაზმვას ხალხში პარტიის მართალი სიტყვის მისატანად. აუცილებელია პროპაგანდისტული მუშაობის ახალი, უფრო რაციონალური ფორმების ძიება და დანერგვა.

კერძოდ, მედიცინის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკურმა საბჭომ მედიცინის მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდის შემდგომი გაძლიერებისა და სრულყოფისათვის სალექციო საქმიანობაში უნდა ჩააბას ამ დარგში მომუშავე მაღალკვალიფიციური ლექტორები. ლექციური პროპაგანდის ხარისხის ამაღლების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ლექციების ტექსტების მომზადებას და მის კვალიფიციურ რეცენზიას, ლექციებზე დასწრებას და შემდეგ მათს განხილვას.

საზოგადოება „ცოდნა“ ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია. მას სრული შესაძლებლობა აქვს და ძალაც შესწევს, რომ საქართველოს პარტორგანიზაციის საიმედო დასაყრდენი გახდეს.

ალ. მინდაძე,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის წევრი.

ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲝᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲯᲣᲠᲘ

ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებებში“ მკაფიოდ და დამაჯერებლად ასახულია ცხოვრების დიდმა სიმართლემ განსაზღვრა შინაარსი სამეცნიერო კონფერენციისა, რომელიც მიეძღვნა ჩვენი დროის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ამ ახალ ნაწარმოებს. 22 დეკემბერს ეს კონფერენცია თბილისში მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა და საქართველოს მწერალთა კავშირმა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ პარტიის ვეტერანები და ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები. (საქინფორმი).

ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

რესპუბლიკის დედაქალაქში გრძელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობენ თემაზე: „80-იანი წლები: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად“.

23 დეკემბერს პოლიტგანთლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა მორიგი კითხვები. იდეოლოგიური აქტივის წინაშე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჭითანავამ გააკეთა მოხსენება „სასურსათო პროგრამის განხორციელება და მოსახლეობისათვის საჭონლის წარმოების გაფართოება უპირველესი პარტიული საქმეა“. (საქინფორმი).

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲯᲣᲠᲘ

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ, გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი? მან ხუთიოდე წლის წინათ ყურადღება იმით მიიქცია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე დაასახელეს როგორც უხეირო და ზარალიანი საწარმოს მაგალითი.

საქმე ის გახლდათ, რომ 24 ათასი სული ღორისათვის განკუთვნილმა ამ უზარმაზარმა კომპლექსმა, რომელიც ჯერ კიდევ 1973 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ, და გადაეცა სერიოზული სამშენებლო დეფექტებით, 1977 წელსაც კი ვერ მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს. კადრების დაბალი კვალიფიკაციის, საქმისადმი ჯეროვანი პარტიული და სამეურნეო მიდგომის უქონლობის შედეგად 1974-1977 წლებში სახელმწიფომ მილიონ-ნახევარ მანეთზე მეტი იზარალა.

...და აი, ახლა, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის მიწურულში, ამ კომპლექსმა კვლავ გამოიჩინა თავი, ოღონდ ამჯერად კეთილი, სასახელო საქმეებით. დიახ, ახლა გიორგიწმინდის კომპლექსის თვალსაჩინო წარმატებებზე, მისი კოლექტივის გონივრულ, ყაირათიან და ეფექტიან მუშაობაზე კმაყოფილებით ლაპარაკობენ საგარეჯოს რაიონში, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში.

მაინც რა მოხდა? რამ დაიწვინა თავი კატასტროფისაგან გიორგიწმინდელ მეცხოველეებს?

ამ კითხვას ბევრი პასუხი აქვს, მაგრამ მათ შორის მთავარი ის არის, რომ კომპლექსს ხუთი წლის წინათ სათავეში ჩაუდგა დიდად ერუდირებული, შემოქმედი და გამბედული ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული ვეტერინარი ექიმი ავთანდილ აჩელაშვილი, რომელმაც გაიყოლია ხალხი დასახული მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

ახალმა დირექტორმა მუშაობის პირველი დღიდანვე გაბედულად მოჰკიდა ხელი კომპლექსის რეკონსტრუქციას, მუშა-მოსამსახურეების როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სფეროში ისეთი დამაინტერესებელი პირობების შექმნას, რომელიც კოლექტივის თითოეული წევრის პირად ინტერესებთან, საქვეყნო საქმესთან შეათანხმებდა.

უწინარეს ყოვლისა, კომპლექსში მოძველებული დანადგარების ადგილი თანამედროვე აღჭურვილობას დაეთმო, შეიცვალა და დაიხვეწა ტექნოლოგიური პროცესები, არსებითად გადახალისდა და დაკომპლექტდა მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა კონტინგენტიც. ერთი სიტყვით, კომპლექსმა ცხოვრება თავიდან დაიწყო. მისი კოლექტივის საქმიანი და შემოქმედებითი პოტენციალი მთლიანად პარტიის მიერ დასახული მიჯნების მიღწევის სამსახურში ჩაედგა.

ახლებური მუშაობის პირველი ნაყოფი ის არის, რომ წლეულს კომპლექსი უკვე საპროექტო სიმძლავრით ამოქმედდა და ჯერ კიდევ ნოემბერში შეასრულა ხორცის წარმოების წლიური გეგმა. წლის ბოლომდე გიორგიწმინდელები სახელმწიფოს დამატებით მიჰყიდიან 500 ტონა ხორცს, რითაც სოციალისტურ ვალდებულებას 500 ცენტნერით გადაამტეხენ.

ᲒᲐᲛᲠᲯᲔ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘ

დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული სულადობისა და ნამატის მიღების გეგმებიც. 20.950 სულის ნაცვლად მიღებულია 28.636 გოჭი. ყოველ 100 ქუბზე საგეგმო 1440-ის ნაცვლად 1528 გოჭია მიღებული. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავი იჩინა რენტაბელური მუშაობის მაჩვენებლებმა: ცენტნერი ხორცის წარმოებაზე საგეგმოსთან შედარებით 36 მანეთით ნაკლები დაიხარჯა. ეს კი კომპლექსს საშუალებას აძლევს დაგეგმილი 206 ათასი მანეთი ზარალის ნაცვლად წლის ბოლოს 500 ათასი მანეთი მოგება მიიღოს.

ასეთი გონივრული და ყაირათიანი მუშაობის წყალობით ფულით, პატივითა და სანდოობით კიდევ უფრო მეტად დაფასდა კომპლექსის მშრომელთა გარჯა. წლეულს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს წახალისების ფონდიდან 77 ათასი მანეთი მიეცათ, 4 ოპერატორი დაჯილდოვდა ხუთწლედის დამკვრელის სამკერდე ნიშნით, სონია ხოსიტაშვილმა კი დაიმსახურა მედალი „შრომითი მამაცობისათვის“. ბევრმა მუყაითმა მუშა-მოსამსახურემ უფასოდ მიიღო ტურისტული და სანატორიუმების საგზურები; თუ რეკონსტრუქციამდე მუშის საშუალო თვიური ხელფასი 123 მანეთს არ აღემატებოდა, წლეულს მან 236 მანეთი შეადგინა; დამკვრელი მუშები კი თვეში 300-380 მანეთს ღებულობენ.

ადამიანთა კეთილდღეობისათვის ასეთი ზრუნვით, საწარმოში კეთილნაყოფიერი ზნეობრივი და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობით ჯეროვნად დაუფასა. ამ დღეებში რაიონის კულტურის სახლში ფართოდ აღინიშნა მისი დაბადების 60 წლის თავი.

იუბილე შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. მეზვრიშვილმა. იუბილარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. გურჯიძემ. ამაგდარ ხელმძღვანელს მიესალმნენ საქცხოველმრეწვის მმართველი ჯ. ჩხაიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველოს უფროსი გ. ყუფარაძე, მწერალი, პროფესორი ლ. სანიკიძე და სხვები.

კარგად ორგანიზებულ იუბილეზე ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა, იყო ლექსები, სიმღერები, ცეკვა. ამის ერთი კონკრეტული მაგალითი: რაიონის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა გულისტკივილით თქვეს: სამზარეულოში, სადაც ზოგჯერ მთელ დღეს ელექტროლუმენებზე ათი მანეთის კერძი არ კეთდება, ორი და სამი იმდენი ღირებულების ელექტროენერგია იხარჯებაო!

განა შეიძლება სახალხო დოვლათისადმი ასეთი დაუდევარი დამოკიდებულება?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა, რომ, თუმცა გათვალისწინებულია ენერგიისა და სათბობის, განსაკუთრებით გაზის წარმოების შესაძრნევი ზრდა, მაგრამ სწრაფად იზრდება ქვეყნის მოთხოვნილებანიც.

უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა თუ არა, ვინ უნდა ითავოს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით განხორციელებისათვის ზრუნვა? ამედია, რომ წითელწყაროელი კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს, ამ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერების და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულ შემდეგი ნაშრომები:

მეცნიერების დარგში

1. **მელიქიშვილი გ. ა. (ხელმძღვანელი), ანთელავა ი. გ., ანჩაბაძე ზ. ვ., აფაქიძე ა. მ., გაფრინდაშვილი მ. მ., გუჩუა ვ. გ., დუმბაძე მ. ქ., კაჭარავა ი. მ., კოჭლავაშვილი ა. ი., ლომინაძე ბ. რ., ლორთქიფანიძე მ. დ., მესხია შ. ა., ნათმელავა მ. ვ., ხურგულაძე ა. ნ., სტურუა ნ. ი., ჯამბურია გ. ფ.** — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ რვა ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970-1980 წლები.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს საისტორიო საზოგადოება.

2. **ბიბილეიშვილი შ. ი., გაბაშვილი ვ. მ., გელაძე თ. შ., სარაჯიშვილი პ. მ., სიგუა ო. ა., ჩხენკელი ს. ა.** — „ეპილეფსიის კლინიკისა და პათოგენეზის კომპლექსური შესწავლა, ეპილეფსიის სხვადასხვა ფორმით დაავადებულთა ეტაპური დიაგნოსტიკისა და დიფერენცირებული მკურნალობის სისტემის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა“, 1970-1980 წლები.

წარმოადგინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტმა.

3. **ბებიაშვილი შ. ლ., მირცხულავა ც. ე.** (ხელმძღვანელები), **ნამიჩეიშვილი ო. მ., ულენტი თ. გ., ღოლობერიძე მ. ი., ცირამუა გ. ს., ხომასურიძე ქ. ნ.** — „მეცნიერული გამოკვლევების კომპლექსი საიმედოობის თეორიაში და მათი შედეგების ფართო დანერგვა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ტექნიკური სისტემების ხარისხის უზრუნველსაყოფად“, 1955-1980 წლები.

წარმოადგინა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

4. **გაჩეჩილაძე გ. მ.** (სიკვდილის შემდეგ) — „მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობანი“ (გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“, მოსკოვი, 1980 წელი).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა.

5. **მანჯავიძე ზ. შ.** (ხელმძღვანელი), **ჯავრიშვილი ა. კ., ლომთაძე თ. ა., ხარჩილავა ა. ი., შტაერმანი ა. ი.** —

ერთგულება

ა. ინაური,

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველო ხალხის დიდი დღესასწაულის—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამავე პარტიისა და სახელმწიფოს ერთგულმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჩვენს რესპუბლიკაში აღინიშნება საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების იუბილე.

საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ტოლები არიან. 1921 წლის 25 თებერვალს, როცა მოსკოვში, ბოლშევიკი ვ. ი. ლენინს გაეგზავნა ისტორიული დეპეშა, რომელმაც აუწყა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა თავის პირველ ბრძანებაზე დაადგინა დაუყოვნებლივ შესდგომოდა საგანგებო კომისიის შექმნას. ამ აქტით საქართველოს რევკომმა გამოავონა არა მარტო ოპერატიულობა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტილებანი, არამედ აგრეთვე ლენინის სიტყვების ღრმა გაგება, რომ „გამარჯვებული პროლეტარიატი უფლებულია ამოცანა რევოლუციის დაცვა. ვ. ი. ლენინის ბრძანებისა, რომ „ყოველი რევოლუციისა მბოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მას შეუძლია თავი დაიცვას“... ამ აუცილებელ დროს გამოცდას, გასავლა ეროვნულ ფარგლებს და საბჭოთა სასწავლებელი გახდა ნამდვილი რევოლუციონერებისათვის. ეს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

საქართველოს საგანგებო კომისია შეიქმნა იმ პერიოდში, როცა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას უკვე ჰქონდა ბრძოლა მტრებთან და შინაური კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ერთ წელზე მეტი ხნის გამოცდილება. ეს გამოცდილება გახდა საქართველოს ჩეკისტთა „კუთვნილება. ეროვნულ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, ჩეკისტთა ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა რუსეთის სფსრ რესპუბლიკასთან განვითარებადი ურთიერთობის საფუძველზე. საგანგებო კომისიები იქმნებოდა როგორც ინტერნაციონალური ორგანოები, რომლებსაც უნდა გადაეჭრათ საერთო ამოცანა — დაეცვათ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრები შინაგანი და გარეშე მტრების ხელყოფისაგან. ... თავისი ინტერნაციონალური ... ოვალეობისადმი ერთგული რუ... ეთის პროლეტარიატის მსგავ... ად, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს, რუსეთის ჩეკისტები, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ცენტრალური აპარატის მუშაკები ფ. ე. ძერჟინსკის მეთაურობით ყოველ ღონეს ხმარობდნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის. აღნიშნებდა რა დიდ მნიშვნელობას კონტრრევოლუციის ყოველგვარი ძირგამომთხრელი ვამოვლინებების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო „კომისიის რიგებში გაგზავნა საუკეთესო კომუნისტები. მაგრამ მაინც დასაწყისი ძნელი იყო. იგი მიმდინარეობდა რესპუბლიკის კლასობრივი მტრების წინააღმდეგ მწვავე ბრძოლაში, რომლებიც არ ურიგდებოდნენ თავიანთ დამარცხებას და ცდილობდნენ დაებრუნებინათ გაბატონებული მდგომარეობა. ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთში ერთ ფრონტად გაერთიანდნენ სხვადასხვა ნაციონალისტური პარტიისა და მიმდინარეობის წევრები — მენშევიკები და სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და ანარქისტები, ყოფილი მენშევიკური არმიის ოფიცერთა ნაწილი, კულაკები, პრივილეგიერებული ფენების წარმომადგენლები, რომლებიც მტრულად შეხვდნენ სოციალისტურ რევოლუციას. მთელ ამ შავბნელ, რეაქციულ ძალას მხარს უჭერდა საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც მატერიალურ ხარჯებს არ იშურებდა იმისათვის, რომ საქართველოში ჩამოშორებინა, თავისუფალი მომძე ხალხების ოჯახისათვის და თავის დანამატად გადაექცია. ამ რთულ და ძნელ პირობებში საჭირო იყო მშრომელი მასების განსაკუთრებული შეკავშირება, დიდი რევოლუციური სიფხიზლე, ყველა პარტიული და სახელმწიფო ორგანოს, განსაკუთრებით რესპუბლიკის ჩეკისტური აპარატების დაძაბული მუშაობა.

ვიგონებთ რა იმ ძნელ, მაგრამ გმირულ დღეებს, არ შეგვიძლია ჯეროვანი პატივი არ მივაგოთ ჩვენს მამაც წინამორბედებს, იმ დროინდელ საუკეთესო კომუნისტებსა და კომკავშირელებს, რომლებმაც შექმნეს საგანგებო კომისიის პირველი ქვეგანყოფები და სამედოდ იცავდნენ მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკას.

იმ პერიოდის ვითარებაში სწორი ორიენტირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ფ. ე. ძერჟინსკის თითქმის ერთი თვის ყოფნას. იგი იყო თბილისში, სოხუმში, ზუგდიდსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში. ყველგან ხვდებოდა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, გამოდიოდა მუშათა და გლეხთა წინაშე, ხვდებოდა ჩეკისტებს, ამასთან დიდ ინტერესს იჩენდა მათი მუშაობისადმი, უხმარებოდა რჩევით და მნიშვნელოვანი მითითებებით.

ამან ხელი შეუწყო მოეწყოთ ეფექტიანი ჩეკისტური მუშაობა არა მარტო დროის უახლოეს მონაკვეთზე, არამედ გარკვეული პერსპექტივის გათვალისწინებითაც. ამ მითითებებმა დიდი როლი შეასრულა შემდგომშიც. ისინი დაეხმარნენ ჩეკისტებს გამოეცნოთ მტრული საიდუმლო მანევრები საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, როცა გადარჩენილმა მენშევიკურმა ბანდებმა და მათმა თანამზრახველებმა საქართველოს მთელ რიგ მაზრებში 1924 წლის აგვისტოში პროვოკაციულად მოაწყვეს ანტისაბჭოური გამოსვლები. ჩეკისტებმა, რომლებიც ხალხის დახმარებას ეყრდნობოდნენ, ბოლო მოუღეს ვრთი მუჭა მენშევიკი ავანტიურისტების გამოსვლებს.

საქართველოს ჩეკისტთა ენერგიული, მიზანსწრაფული ბრძოლა დასავლეთის ძირგამომთხრელი ცენტრებისა და ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის წინააღმდეგ დადებით გავლენას ახდენდა რესპუბლიკის სოციალისტური გარდაქმნის მთელ პროცესზე, უზრუნველყოფდა კომუნისტური პარტიის პროგრამის განუხრელად შესრულებას.

საბჭოთა საქართველოს წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, მისი მტრების გაფთრობას იწვევდა. კლასობრივი მტრები, რომლებიც ცდილობდნენ ახალი ვითარების შესაბამისად ემოქმედათ, მიმართავდნენ სხვადასხვა მანევრებს და ფანდებს, ესწრაფვოდნენ შეეფერხებინათ ჩვენი წინსვლა, ჩაეშალათ ჩვენი გეგმები, გამოწვეოდათ მშრომელთა უკმაყოფილება. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ ჯაშუშობას, მავნებლობას, დივერსიებს, ტერორს, სიცრუესა და ცილისწამებას, იდეოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა ძირგამომთხრელ ფორმას.

შინაური მტრების მოქმედებას ყოველმხრივ უჭერდა მხარს მფლეინ ბურჟუაზია. 1927 წლის დეკემბერში სსრ კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. ეს იყო უმაღლესი ჯილდო, რომლითაც აღინიშნა ცენტრში და ადგილებში საბჭოთა ჩეკისტების თავდადებული მუშაობა.

სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში იყო ახალი ისტორიული ნიშანსვეტი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამ პერიოდში პარტია სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ძირითად მეცადინეობას ახმარდა იმპერიალისტური დაზვერვის ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან წარმოშვა საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის სამხედრო თავდასხმის საფრთხე.

1933-36 წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მოსპეს მთელი რიგი საჯაშუშო რეზიდენტურები, რომლებიც სსრ კავშირში მოქმედებდნენ გერმანიის საელჩოსა და მისი საკონსულოების ნიღბით, მათ შორის საქართველოშიც.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა იმ პერიოდში გადაწყვიტეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა — ჩაშალეს ნაცისტთა გეგმები შეექმნათ სსრ კავშირში „მეხუთე კოლონა“, შეეკრიბათ ამომწურავი ინფორმაცია სსრ კავშირის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ. ამასთან ერთად, მიღებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი ცნობები გერმანიის ფაშისტური ზედაფენისა და მისი იაპონელი მოკავშირეების გეგმების შესახებ.

დიდი სამამულო ომი გახდა საბჭოთა საზოგადოების, ჩვენი შეიარაღებული ძალებისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სიმტკიცის გამოცდა. ფაშისტებს დაგეგმილი ჰქონდათ მოეშალათ ჩვენი საბრძოლო ძლიერება არმიის განადგურებისა და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის გზით. მათ შექმნეს სადაზვერვო სკოლები და აგენტთა მომზადებისა და გამოყენების სპეციალური ნაწილები.

ცნობილი ფაშისტური ორგანიზაციის „ცეპელინის“ ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას მიზანში ამოღებული ჰყავდა საქართველო. „ავაკიანისათვის ბრძოლის, ლეგენდარული „მცირე მიწისათვის“ დაუვიწყარი ბრძოლების პერიოდში ფაშისტური ჯარების მოქმედების ხელს უწყობდა. ჩვენს ზურგში მტრის აგენტურის მასობრივი შემოგზავნა.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა სამხედრო კონტრდაზვერვასთან და მისი ოპერატიული ხელმძღვანელობით მოქმედ გამანადგურებელ ბატალიონებთან ერთიერთმოქმედებით მოაწყვეს შეტევითი ბრძოლა მოწინააღმდეგის აგენტურისა და სხვა ძირგამომთხრელი ელემენტების წინააღმდეგ, საქართველოში შემოგზავნილ აგენტთა ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ შეძლო ფაშისტური დაზვერვის დავალების შესრულება. ისინი, ვინც თვითონ არ გამოცხადდა და დანაშაული არ აღიარა, გამოავლინეს ჩეკისტებმა და სამართალში მისცეს.

ჩვენი რესპუბლიკის ჩეკისტური ორგანოების აღზრდილნი მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში დიდი სამამულო ომის ყველა ფრონტზე. ისინი მამაცურად იბრძოდნენ პარტიზანულ რაზმებში უკრაინასა და ბელორუსიაში, შემდეგ კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

არ შეიძლება არ ვახსენოთ მრავალრიცხოვანი იატაკქვეშა ჯგუფები, რომელთა უმრავლესობა იქმნებოდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი საბჭოთა ადამიანების ინიციატივით. მათი სახელები დღეს იხსენიება იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და სხვა იმ ქვეყნების წინააღმდეგობის გმირთა შორის, რომლებმაც განიცადეს ფაშისტური ურდოების შემოსევა.

ფრონტებზე გრანდიოზული ბრძოლების, პარტიზანული და იატაკქვეშა ბრძოლის დროს საბჭოთა ადამიანებმა ლენინის დროშით, ლენინური პარტიის ბრძანებული და ნაცადი „ხელმძღვანელობით მოსპეს ფაშიზმი, გამოიინეს უდიდესი სიმტკიცე, მამაცობა, ვაჟკაცობა, ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგულება.

ომისშემდგომ პერიოდში მკვეთრად გამწვავდა საერთაშორისო ვითარება ჩვენ ქვეყნის მიმართ წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსის გამო. ჩვენს წინააღმდეგ დაიწყო „ცივი ომი“, რომელშიც მთავარი როლი განეკუთვნებოდა ბრძოლის ძირგამომთხრელ საშუალებებს.

იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვები, მათი სპეციალური სამსახურები, სახმელეთო და საჰაერო საზღვრებით გზავნიან თავიანთ აგენტებს საჯაშუშო და სხვა ძირგამომთხრელი აქციებისათვის. ამავე მიზნით იყენებენ სხვადასხვა ლეგალურ შესაძლებლობას, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო გაცვლის, ტურიზმის, მეცნიერული ურთიერთობის გაფართოებასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკის ჩეკისტური აპარატების თავდადებული მუშაობის მეოხებით, რომლებიც იყრდნობიან პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა ფართო ფენების დახმარებასა და მხარდაჭერას, ომისშემდგომ პერიოდში გამოვავლინეთ და გავუუნეტრალეთ საქართველოში შემოგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, თურქეთისა და ნატოს აგრესიულ ბლოკში შემავალი სხვა ქვეყნების აგენტები. მათ შესახებ, ისევე როგორც დასავლეთის სხვადასხვა ძირგამომთხრელი ცენტრებიდან რესპუბლიკაში ნაირნაირი ნიღბით ჩამოსული სხვადასხვა ემისრების შესახებ ვიუწყებოდით ჩვენს პრესაში.

„უშიშროების უზრუნველყოფა დღეიანდელ პირობებში, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საბჭოთა ჩეკისტების ხელმძღვანელმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ეს არის არა მარტო სახელმწიფოს, არამედ მთელი საზოგადოების უშიშროების უზრუნველყოფა კლასობრივი მოწინააღმდეგის ხელყოფისაგან“.

ჩვენ არ გვაქვს კლასობრივი სოციალური ბაზა მტრული, ანტისაბჭოური საქმიანობისათვის. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობის მახვილი მიმართულია არა ჩვენი საზოგადოების შიგნით, არამედ გარეთ. განსაკუთრებით საშიშია სახელმწიფო დანაშაულობანი რომლებიც ჯერ კიდევ ხდება, როგორც წესი, საზღვარგარეთის გამხრწნელი გავლენის შედეგია. მტრული პროპაგანდის შემოღწევისა და გავრცელებისათვის საიმედო დაბრკოლებაა ჩვენი საზოგადოების წევრთა იდეური დონის ამაღლება. რესპუბლიკის ჩეკისტები აქტიურად მონაწილეობენ ამ მუშაობაში. ჩეკისტური აპარატების საქმიანობის ეს მიმართულება, ისევე როგორც სხვადასხვა პროფილაქტიკური საშუალების ფართო გამოყენება, ხელს უწყობს ფრიად მნიშვნელოვანი პარტიული ამოცანის — სახელმწიფო დანაშაულის დროულად თავიდან აცილების, საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური შეკავშირების ამოცანის შესრულებას.

უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ განაზორციელეს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე ამოცანები კიდევ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს სასამართლოს, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა მუშაკებს, ყველას, ვინც დგას სოციალიზმის საფეხვძელების, მისი მართლწესრიგისა და ისტორიული მონაპოვრების სადარაჯოზე.

ყველა ამ ორგანოს საქმიანობა მიმდინარეობს პირობებში, რომლებიც მოითხოვს ძირითადი ფუნქციის მტკიცე შესრულებას — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრების ფხიზლად დაცვას.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელთა წინაშე 1918 წლის 7 ნოემბერს მიტინგზე გამოსვლისას ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა უმნიშვნელოვანესი პარტიული მოთხოვნა ჩეკისტთა საქმიანობისადმი:

„სიმტკიცე, სისწრაფე და, რაც მთავარია, ერთგულება“. დღესაც ეს მოთხოვნები ფეოქმედებელია და მათ ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს უსახავს ჩვენი ლენინური პარტია. მათს საფუძველზეა აგებული საქართველოს ჩეკისტური აპარატის მთელი პრაქტიკული საქმიანობა.

განვლილი სამოცი წლის მანძილზე მან ბრძოლის დიდი და ძნელი გზა განვლო. პირველი ჩეკისტები შეეცალეს სახელმწიფო უშიშროების მუშაკთა ახალმა თაობებმა. მემკვიდრეობით ვადაეცემოდა მუშაობის გამოცდილება და საუკეთესო ტრადიციები. დღეს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტებში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განყოფილებაში, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების აპარატებში შრომობენ ერთიანან, შეკავშირებულ ჩეკისტურ კოლექტივად დიდად განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული და თავიანთი საქმისა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი ერთგული გამოწრთობილი თანამშრომლები. ეს მიღწეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუდმივი ზრუნვის შედეგად, რაც საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ ჩეკისტთა რიგები, შევასრულოთ დასახული ამოცანები.

ყველა ჩვენს საქმეში მუდმივ მხარდაჭერას გვიწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებსაც ჰყავთ ჩეკისტთა მომზადებული კადრები, შეძლეს უკანასკნელ წლებში მთელი რიგი წარმატებული ოპერაციები განეზორციელებინათ უცხოეთის დაზვერვათა წინააღმდეგ, აღეკვეთათ ცალკეული მტრული აქციები.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებისა და ქვეგანყოფების მუშაობის ბევრი დადებითი მხარე მიღწეულია სახელმწიფო უშიშროების სასაზღვრო ჯარებთან, საარმიო ორგანოებისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საომედო, მუდრო ურთიერთმოქმედების მეოხებით. ეს ურთიერთმოქმედება მიგვაჩნია ჩვენი ძალის წყაროდ და ამიტომ განვამტკიცებთ მას და მივაღწევთ, რომ იგი ყოველთვის მაღალ დონეზე იყოს, მთლიანად შეესაბამებოდეს სამშობლოს უმაღლეს ინტერესებს.

ხვალინდელ დღეს ვიწყებთ იმ მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულნი, რომელიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობას მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების განმტკიცებისათვის, მოწონაალმდეგის ყოველგვარი ხრიკებისაგან მისი დაცვისათვის.

მისი ყურადღება ჩვენს მიმართ, ჩეკისტების მიმართ, არა მარტო შთაგვაგონებს, არამედ გვავალდებულებს კიდეც ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ვიყოთ პარტიისა და სახელმწიფოს ერთგული დასაყრდენი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. ეს მთავარი, ძირითადი ამოცანაა ახლა, როცა იმპერიალიზმის ძალები, რომლებიც განუდგნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზას, კვლავ მმართავენ მუქარას, შანტაჟს, ავანტიურებს.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი ჩეკისტები კვლავაც თავდადებით იბრძმებენ იმისათვის, რომ აგრესიული იმპერიალისტური ძალების ვერაგითურმა პროვოკაციებმა ვერ შეუშალოს ხელი კომუნიზმისაკენ ჩვენი საზოგადოების ისტორიულ წინსვლას.

პარტიის ერთგული შვილი

გამოცანა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა ისტორიის მეცნიერების კანდიდატის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტ ვ. ბენიძის ნაშრომი „პარტიის ლეგენდარული გმირი“, რომელშიც გაშუქებულია ვ. ი. ლენინის თანამებრძოლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, პროფესიონალი რევოლუციონერის, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის დაუღალავი მებრძოლის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის მრავალფეროვანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ძირითადი მომენტები.

წიგნში ნაჩვენებია ის უაღრესად დიდი როლი, რომელიც ფ. ძერჟინსკიმ შეასრულა სამოქალაქო ომის, შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის შედეგად გამოწვეული ბაზვთა უბატონობის ლიკვიდაციისა და მათი ყოფაცხოვრების მოწყობის საქმეში, ის დიდი ღვაწლი, რომელიც დასდო მან წითელი არმიის შექმნისა და მისი რიგების პოლიტიკური სიწმინდისათვის ბრძოლის საქმეს, ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ არ იყო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური თუ სამეურნეო საქმიანობის ისეთი დარგი, რომლის განვითარებაში ფ. ძერჟინსკის თავისი წვლილი არ შეეტანოს.

ვ. ზარიძე.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. გურამ ლევანის ძე ასპინძელაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

ᲞᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„კომუნისტს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მოწონავე სტატიის „პრესა და მკითხველი“ გამო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო გვწერს:

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მითითებით, გაზეთ „კომუნისტის“ ამა წლის 20 აგვისტოს № 192-ში გამოქვეყნებული მოწონავე სტატია „პრესა და მკითხველი“ გასინჯეს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ყველა საწარმოში. ... ოგორც ავტორი კავშირის დარგის მუშაკებმა აღნიშნეს, რომ „კომუნისტი“ ... ერთად ასახავს გაზეთების მიწოდების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს და ნაკლოვანებებს.

... რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და მინდობილ-დაქვემდებარებულმა საწარმოებმა ამ ბოლო პერიოდში განახორციელეს ღონისძიებანი ამ საქმის გაუმჯობესებისათვის, გადაეცა გაზეთების გადაზიდვისა და დატარების გრაფიკები, დაინერგა ახალი ავტომარშრუტები, დაწესდა სადისპეტჩერო მეთვალყურეობა რაიცენტრამდე გაზეთების გაზიდვისადმი, რის შედეგად გასულ წლებთან შედარებით გაზეთების ტაიონებში მიტანისა და მათი ხელმომწერებისათვის ... ბარების მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. მიუხედავად ... ამისა, ჯერ კიდევ არის დაგვიანებანი და ნაკლოვანებები, რომლებიც უპირველესად გამოწვეულია ... ბ საქმისადმი ზოგიერთი კავშირგაბმულობის საწარმოს არაოპერატიული და უპასუხისმგებლო ... ამკიდებულებით. არის სხვა ... ელშემლელი პირობებიც — ... ტრანსპორტისა და საწყავის ... ლებობა, მაგრამ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მაინც რჩება ... ოგი გაზეთის დაგვიანებით გამოსვლა, სტანდარტულ კონებში ... ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებანი.

... კავშირგაბმულობის სამინისტრო რესპუბლიკის საფოსტო საწარმოებში ერთხელ კიდევ შეისწავლის ყურნალ-გაზეთების ჩაბარების მდგომარეობას, რათა სამომავლოდ აღმოიფხვრას კავშირგაბმულობის საწარმოებში არსებული ... ნაკლოვანებები და გაძლიერდეს კონტროლი ამ საქმეზე.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ □ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ □ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ □ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

თავიდან აავიცილოთ ბირთვული ომის საფრთხე

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲜ-ᲑᲘ-ᲡᲘ ტელეკომპანიისათვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მიცემული პასუხები მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მთლიანად ან დაწვრილებით აქვეყნებენ ინტერვიუს. აღნიშნულია, რომ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურა საბჭოთა კავშირის აქტიური მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელება, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკითხთა გადაწყვეტა, მსოფლიოში საერთო ვითარების გაჯანსაღება.

საბჭოთა პრეზიდენტმა, იუწყება ამერიკის საინფორმაციო სააგენტო ასოშიეიტედ პრესი, განაცხადა, რომ ჟენევაში მოლაპარაკების წარმატების საწინდარი ის არის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა დაიცვან თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი. ამ მოლაპარაკების შედეგებზე დამოკიდებულია შემცირდება თუ გაიზრდება ბირთვული ომის წარმოქმნის საფრთხე. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განაახლოს მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების, როგორც ყველაზე მძლავრი და საშიში შეიარაღების, შეზღუდვისა და შემცირების შესახებ. მან თქვა, რომ ხელოვნური დაბრკოლებანი ხელს უშლის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალურ, ურთიერთხელსაყრელ განვითარებას. საბჭოთა ხელმძღვანელს, აღნიშნავს სააგენტო, სავსებით ცხადია, რომ მხედველობაში ჰქონდა დაბრკოლებანი, რომლებსაც რეიგანის ადმინისტრაცია ქმნის.

ამერიკის მეორე სააგენტო **იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლი** იუწყება: ლ. ი. ბრეჟნევი იზიარებს შეშფოთებას იმის გამო, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი მიდიან კონფრონტაციისაკენ, მაგრამ, მას მიაჩნია, რომ სეროზულმა მოლაპარაკებამ შეიძლება აღკვეთოს ბირთვული ომის საფრთხე. მან განაცხადა, რომ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკების გარდა მთელი სიგრძე-სიგანით დგება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების ამოცანა. ლ. ი. ბრეჟნევმა საჭიროდ ცნო აგრეთვე ძვრა განიარაღების დარგის სხვა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის გზაზე.

სათაურით „უმნიშვნელოვანესი სქემა მშვიდობის შენარჩუნება“, „საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს სამშვიდობო დიალოგს“, „ალანეტას სჭირდება მშვიდობა“. **ჩეხოსლოვაკიის გაზეთები** პირველ გვერდებზე აქვეყნებენ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხების სრულ ტექსტს. უნგრული **„ნეპსაბადშაგი“** წერს, რომ საბჭოთა კავშირი მოუწოდებს საქმიანობისაკენ ... ეარ თქვან უგულვარი გამლაშებული შეიარაღების პოლიტიკაზე და განიარაღების პრობლემა მიაჩნია სახელმწიფოთა მეცადინეობის უპირველეს დარგად. სსრ კავშირი დიდებითად ეკიდება ყველა ქვეყნის მეცადინეობას, მისი მიზანია პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება, სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირება. ჩვენთვის პატიოსნად გამოწვდილი მარჯვენა არავის დარჩება უპასუხოდ.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

შეიპყრეს ბანდა

ᲙᲐᲘᲠᲝ. ეგვიპტის ქალაქ ელმინის პოლიციამ დააპატიმრა დამნაშავეთა დიდი ბანდა, რომელიც დახპეციალებული იყო ძველი აკლდამების ძარცვაზა და ფარაონების ქანოქის ანტიკურულ ფასეულობათა ვაჭრობაზე.

ოპერაციის მსვლელობაში აღმოაჩინეს 7 ოქროთი მოვარაყებული და იეროგლიფებიანი სარკოფაგი. კონფისკაციულია აგრეთვე დიდძალი უძველესი ოქროს სამკაულები.

როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ამ ბოლო წლების მანძილზე გახშირდა ეგვიპტეში ნაპოვნი ფასდაუდებელი განძეულობის კონტრაბანდული გზით უცხოეთში გატანა. ქვეყანაში მოქმედებს იატაკქვეშა „სინდიკატების“ ფართო ქსელი, რომლებიც უკანონო გაჯიბრებს აწარმოებენ და მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული უცხოეთის კლიენტურასთან. ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულებრივი ბიზნესის აყვავებას, მიაჩნიათ მეტად უმნიშვნელო სასჯელი ისტორიული ძეგლების ძარცვისათვის.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ

ᲑᲝᲜ. დასავლეთგერმანელი ქალები განაგრძობენ ბრძოლას ნამდვილი თანასწორუფლებიანობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქვეყნის კონსტიტუციით გამოცხადებულია, სინამდვილეში პირიქით ხდება.

კასელში გამართული სოლიდარობის მანიფესტაციის მონაწილეთა შორის „ხაინცის“ ქიმიური ფაბრიკის მუშა ქალებიც იყვნენ. თითქმის სამწლიანი სასამართლო პროცესის შემდეგ 29 მამაცმა ქალმა, რომელმაც საწარმოს მფლობელებს უჩივლეს, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გაიმარჯვა. ამ ფირმის მუშა ქალებს უფლება მიეცათ თანაბარი სამუშაოსათვის ხელფასი მიიღონ მამაკაცების თანაბრად.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

საკლესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

ბედნიერების და სათნოების საუნჯე

„ჩემი კარგი ვეფხისტყაოსანი“...

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის ისტორია, რომელსაც თავიანთი გამოკვლევები მიუძღვნეს კ. კეკელიძემ, ე. თაყაიშვილმა, ი. შანიძემ, პ. ინგოროყვამ, ალ. ბარამიძემ, ს. უყბანეიშვილმა, ს. ცაიშვილმა და სხვებმა, ასევე კარგად ვიცით ამ გამოცემის ჩვენამდე მოღწეული ორი ათეული ცალი, რომლებიც დაცულია პარიზის, ლენინგრადისა და თბილისის წიგნთსაცავებში, აგრეთვე, კერძო პირებთან. მათი აღწერილობანი აქვთ ე. თაყაიშვილს, ა. შანიძეს და ა. აბრამიშვილს (ნაწილობრივ ქრ. შარაშიძესაც). ერთ მათგანს, რომელიც 1967 წლის აპრილში, თბილისის ბუკინისტურ მაღაზიაში იყიდებოდა, ჩვენ წავაწყდით, თბილისის უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტისთვის შევიძინეთ და. დღესაც იქ არის დაცული, ამასთან, მისი აღწერილობაც გამოვაქვეყნეთ (1967 წ.). მაგრამ ჩვენში უცნობია რუსთაველის პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის უორდროპისეული ცალი, რომელიც ოქსფორდში ინახება. მაგალითად, მ. სტურუას 1966 წელს ოქსფორდში ყოფნისას იგი ვერ უნახავს, რის გამოც თავის ცნობილ ნარკვევში „რუსთაველი ოქსფორდში“ გვიამბობს: „ჩემ წინ ელაგა „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემა, გარდა ვახტანგისეული პირველი გამოცემისა“ (იხ. „კომუნისტი“, 29. IX. 1966, № 219; „ლიტერატურული საქართველო“, 5. I. 1979, № 1; აგრეთვე მ. სტურუა, „საზღვარგარეთული ნარკვევები“, თბ., 1975, გვ. 306-314). მართალია, დ. ბარატის კატალოგში (ოქსფორდი, 1973) უორდროპისეულ წიგნთა სათვალავში იგი აღნუსხულია (გვ. 216), მაგრამ მისი აღწერილობა დღემდე არ მოგვეპოვება.

„ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის უორდროპისეული ცალის ტყავის ყდა გადარჩენილა, ალაგ-ალაგ ფურცლები აღდგენილია, ზოგან კი ძველი კაბადონების მხოლოდ კიდეებია აღდგენილი ან გამაგრებული. ტექსტი თავბოლო ნაკლულია: იწყება აღდგენილი ზ ფურცლით: სტროფი **ლე** — „იგი წაკა და სხვა მოვა...“, ხოლო ვახტანგისეული გამოცემიდან გადარჩენილი პირველი ფურცელია თ, რომელიც იწყება **მზ** სტროფით: „მამისა ტახტსა საჯდომად...“, ტექსტი წყდება **ტლმ** ფურცლით **ლპე** სტროფის ვახტანგისეულ კომენტარზე: „არას გარგებს სწავლა არის...“. როგორც ვხედავთ, პოემის პირველნაბეჭდი უორდროპისეული ცალი, ასეა თუ ისე, შედარებით მაინც სრულად არის შენახული: თავში ათამდე ფურცელი აკლია, ბოლოში კი შვიდი. ხელახლა აკინძვისას ერთგან **რლვ** ფურცელი უკუღმა არის ჩაკერებული. საინტერესო მინაწერებით ეს ცალი მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ისე ირკვევა, რომ ერთ დროს მისი მფლობელნი ქამიერაშვილები ყოფილან: „გიორგი ქამიერაშვილი“, „ილია ქამიერაშვილი“, „იოანე ქამიერაშვილი“ (მინაწერები ბოლო ფურცლებზე), „ილია ქამიერაშვილმა გავაკეთებინე“ (**რდ** ფურცელზე).

„ვეფხისტყაოსნის“ სხვა ძველი გამოცემებიდან (დ. ჩუბინაშვილის, ვ. ყიფიანის, კ. თავართქილაძის, დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის, ი. აბულაძის...) აღსანიშნავია გრ. ჩარკვიანისეული 1887 წლის და გ. ქართველიშვილისეული 1888 წლის გამოცემები, რომელთა მიხედვით შეუსრულებია ძირითადად მარჯორი უორდროპს თავისი ინგლისური თარგმანი (გამოიცა ლონდონში, მისი სიკვდილის შემდეგ, 1912 წელს).

გრ. ჩარკვიანის მიერ 1887 წელს თბილისში დაბეჭდილი რუსთაველის პოემის უორდროპისეული ცალი, რომელშიც შემორჩენილია მარჯორის მიერ საქართველოში დაკრეფილი მინდვრის გამხმარი ყვავილები, ლამაზად აღწერა ცნობილმა ჟურნალისტმა მ. სტურუამ ზემოთ დასახელებულ ნარკვევში. ამასთან ერთად, მან ყურადღება მიაქცია ან ეგზემპლარში მარჯორის ხელით ნაწერ ფურცლებს: ამა თუ იმ სტეფანწმინდელი მარჯორის მიუწერია ვარიანტული წაკითხვა, ან ინგლისური შესატყვისი, ხოლო აფორიზმები ბელხთ გამოუხაზავს. თითოეული ნაბეჭდი ფურცლის შემდეგ ჩაკინძულია ახალი სუფთა ფურცელი, რომელსაც მთარგმნელი თავისი სამუშაოებისთვის იყენებდა. სატიტულო ფურცელზე მარჯორის ხელით ინგლისურად აწერია: „მარჯორი უორდროპი, დეკემბერი, 1891“.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეულ მდიდრულ გამოცემას მიხაი ზიჩის განქმეული ილუსტრაციებით, უორდროპებს მისი ორი ეგზემპლარი ჰქონიათ: ერთი შემთხვევით ვიპოვე თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის გაცვლის წესით გამოსაგზავნ დუბლიკატებს შორის, ოღონ სატიტულო ფურცელზე ოლივერ უორდროპის ხელით გაკეთებული ინგლისური წარწერიდან ჩანს, რომ იგი მისთვის 1889 წელს ივანე მაჩაბელს უსახსოვრებია. სხვათა შორის, მარჯორი, როგორც ჩანს, პოემის ინგლისურად თარგმნისას, სწორედ ამ ცალს იყენებდა. მეორე ცალი კი, რომელიც უკეთ არის შენახული, ჩასმულია წარწერიან ბუდეში: „ბატონ ოლივერ უორდროპს, ტფილისი, 24 იანვარს, 1911 წ.“, ხოლო საცავ ფურცელზე ეკითხოვნთ: „დიდად პატივცემულ ბატონ ოლივერ ვორდროპს ნიშნად ღრმა პატივისცემისა სახსოვრად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისაგან. საზოგადოების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი, მდივანი ს. კაკაბაძე, ტფილისი, 24 იანვარს, 1911 წელს“.

ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რა პირობებში მოხდა ოლივერ უორდროპისთვის „ვეფხისტყაოსნის“ ამ მშვენიერ ყდაში ჩასმული წიგნის მირთმევა.

საქმე ის გახლავთ, რომ 1911 წლის 24 იანვარს, თბილისში სტუმრად მყოფი ოლივერ უორდროპის პატივსაცემად და განსვენებული მარჯორი უორდროპის ხსოვნის აღსანიშნავად, „თფილისის კრებულის“ შენობაში (დღევანდელი ოფიცერთა სახლი რუსთაველის გამზირზე) ქართველმა საზოგადოებამ მოაწყო საღამო. როგორც გაზეთ „თემში“ 1911 წლის 31 იანვარს გამოქვეყნებული ანგარიში გვაუწყებს, საღამოს თაოსანი ტასო მაჩაბელი ყოფილა, ხოლო ინგლისელი სტუმრისთვის სიტყვებით მიუმართავთ ექვთიმე თაყაიშვილს, იოსებ მაჭავარიანს, გრიგოლ დიასამიძეს, „რომელმაც დასაურათა მორიდებული, მოკრძალებული ხასიათი და ღვაწლი ქართველი ერის მეგობრისა“, ვასილ მაჩაბელს კი უთქვამს: „როგორც ივანე მაჩაბელმა გააცნო ქართველებს მსოფლიო გენიოსი შექსპირი, ისე და-ძმა უორდროპებმა გააცნეს ჩვენი გენიოსი შოთა ინგლისის ერსაო“. ამის შემდეგ ოლივერ უორდროპს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ყაზბეგმა წაუკითხა „გრძნობიერი ადრესი“, რომელშიც აღნუსხულია მარჯორი და ოლივერ უორდროპების ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, ხოლო იაკობ ნიკოლაძის მიერ მხატვრულად გაფორმებულ ფურცელზე (ჯვრის მონასტრის სილუეტი და საქართველოს მთებიდან ამომავალი მზე) საღამოს ყველა დამსწრეს ხელი მოუწერია, ამასთან, სამახსოვრო სურათიც გადაუღიათ. ყველა ეს დოკუმენტი დღეს ოქსფორდში ინახება. აქ მკითხველს ვთავაზობთ ცნობას მარჯორი უორდროპის ხსოვნის საღამოზე 1911 წლის 24 იანვარს, „თფილისის კრებულის“ დარბაზში გადადებული უცნობი სურათის შესახებ (დ. ბარატის მიერ ოქსფორდიდან გამოგზავნილი ამისი ასლი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული), რომელზედაც ვიცნობ ალექსანდრე ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ალექსანდრე ფეიქრიშვილის, ილია ზურაბიშვილი, ვასილ მაჩაბელი, მხატვრები იაკობ ნიკოლაძე და დავით გურამიშვილი, ტასო მაჩაბელი, დავით სარაჯიშვილი, სარგის კაკაბაძე და სხვები. ცენტრში ზის ოლივერ უორდროპი. ფონზე მოჩანს უნიკალური ფარდა, რომელიც საინტერესოა ჩვენი თეატრის ისტორიკოსებისათვის. და აი, სწორედ ამ საღამოს მიურთმევიათ ოლივერ უორდროპისთვის „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის მდიდრული გამოცემის ზემოაღნიშნული ეგზემპლარიც.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის საკორექტორო ცალი, რომელიც ოლივერ უორდროპის ხელით არის ნასწორები (Wardr. 11.210). აქვეა ოლივერისეული შენიშვნები და სწორებები. რუსთაველის პოემის მარჯორისეული ინგლისური თარგმანის შესწავლა და გამოცემა ამ ცალის და აქვე დაცული მარჯორისეული ავტოგრაფების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს: „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეულმა ინგლისურმა თარგმანმა, რომელსაც მან თავისი სიცოცხლის 18 წელიწადი შესწირა, ხომ მთელი ეპოქა შექმნა უკვდავი პოემის უცხო ენაზე ამეტყველებისა და გენიალური ქართველი პოეტის სახელის მთელ მსოფლიოში გატანის საქმეში. კარგად შენიშნავდა ამის თაობაზე პროფესორი მიხაკო წერეთელი მარჯორი უორდროპის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1909 წელს Baton-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში: „მისს ვორდროპი სცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ ენა, ორიგინალობა და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზედ, მისი მიზანი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვების და ფრაზების თარგმნა კი არ იყო, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ **შექმნა** ინგლისურად, როგორც ივანე მაჩაბელმა შექსპირი **შექმნა** ქართულად“ (იხ. „საქართველოს მოამბე“, № 8, 1909, გვ. 10. ხაზგასმა ავტორისაა, გ. შ.).

„ჩემი კარგი ვეფხისტყაოსანი“ — ასეთი მინაწერი აქვს გაკეთებული ოქსფორდში დაცულ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ საუკეთესო ხელნაწერს.

მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე დიდი განძი უორდროპთა კოლექციისა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ძველი (მე-17 ს.) დასურათებული ხელნაწერი ნუსხებია (d-17 და d-27). ამათგან რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში შედარებით უკეთ არის ცნობილი—d-27 (ახალი შიფრით Arch. 0,d-39) ნუსხა 21 ფერადი მინიატურით (ამ ხელნაწერიდან ამოჭრილი ერთი ფურცელი — 22-ე ფერადი მინიატურა ტექსტითურთ თბილისში აღმოჩნდა!). მის შესახებ ცნობები და ცალკეული აღწერილობანი გამოქვეყნებული აქვთ ე. თაყაიშვილს, ს. კაკაბაძეს, შ. ამირანაშვილს, ბ. გრეის, დ. ლანგს, ს. უყბანეიშვილს, ს. ცაიშვილს, ელ. მაჭავარიანს, დ. ბარეტს: დაწვრილებით ვიცით ამ ნუსხის ხიფათიანი თავგადასავალიც და ბოლოს, 1949 წელს, უორდროპთა ფონდში მოხვედრის ამბავი.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ d-17 ნუსხას, დღემდე არაფერი ვიცოდით მისი წარმომავლობის შესახებ. აქამდე ადგილზე არც მისი დაწვრილებითი შეცნიერული აღწერა უცდია ვინმეს (დ. ლანგისა და დ. ბარეტის აღწერილობანი კატალოგური ხასიათისაა, ს. უყბანეიშვილისა და ს. ცაიშვილის აღწერილობანი კი ამ ხელნაწერის ოქსფორდიდან თბილისში მიღებულ ნაკლულ მიკროფილმზეა დაფუძნებული), რის გამოც ოქსფორდში ამ საკითხით საგანგებოდ დაინტერესდით.

d-17 ჩასმულია ხეზე გადაკრულ ტყავის ყდაში. წინა ყდის verso-ზე დაწებებულია წარწერიანი ქაღალდი. „Pr. George Tsereteli. თ-დი გიორგი .სიმონის ძე წერეთლის, 1911 წელს 8 ოქტომბერს, ს. საჩხერე“. პოემის ნუსხაში პირველ ფურცლად ჩაკინძულია ინგლისურ ენაზე ოლივერ უორდროპის ხელით შესრულებული აღწერილობა. და ხელნაწერის მოგების ისტორია. აი, ისიც:

„მარჯორი უორდროპის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი. გადმოგზავნა ბოდლის წიგნთსაცავს 1914 წლის 6 ივლისს.

რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ზომა 19,5 სმX28 სმ; ტექსტი ფერად ჩარჩოში (ბორდიურში) არის მოთავსებული: 24,5 სმ X 17 სმ; მოყვითალო ქაღალდზე, დასაწყისი აკლია და ბევრი ფურცელი დაკარგულია. ბევრიც ამოვარდნილი და გაფუჭებულია. ყდაზე გადაკრულია ტყავი.

(მარჯორი' უორდროპის) ბიბლიოთეკას აჩუქა საჩხერელმა თავადმა გიორგი სიმონის ძე წერეთელმა 1911 წლის 8 ოქტომბერს, კნეინა ვენერა წერეთლის მეშვეობით, რომელიც როსტომ წერეთლის მეუღლე და სიო (სიმონ) ბერიძის ასულია ხიდისთავიდან გურიაში. ვენერა [ბერიძე-წერეთლისა] მარჯორი უორდროპის საუკეთესო მეგობარი იყო.

ხელნაწერი XVIII საუკუნის დამდეგს უნდა მიეკუთვნებოდეს. შეიცავს 50 ფერად სურათს, ზოგი ძლიერ დაზიანებულია.

საგანგებოდ შეუდარა ოლივერმა (უორდროპმა) კარიჭაშვილის გამოცემას [ტფ., 1903 წ.] შედარება მოგვიანებით გადაგზავნება ოლივერ უორდროპის ზემოთ მოყვანილი აღწერილობის მიხედვით, ვენერა ბერიძე მარჯორი უორდროპის საუკეთესო მეგობარი ყოფილა.

მართლაც, ოქსფორდში, მარჯორისეულ ხელნაწერთა ფონდს შემოუნახავს ვენერა ბერიძის 1895-1909 წლების რამდენიმე ათეული წერილი, საიდანაც ნათლად გამოსჩენილა ინგლისელ და ქართველ ასულთა შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა, ხოლო მარჯორისეულ ფოტოალბომში სასოებითაა ჩაკრული ვენერა ბერიძის ფოტოსურათი სამახსოვრო წარწერით: „სახსოვრად ძვირფას მეგობარს მარჯორი უორდროპისას ვენერა ბერიძისაგან, 1896 წელს 19 იანვარს“.

როგორც ვენერა ბერიძის ოქსფორდში დაცული წერილებიდან ირკვევა, მარჯორთან მას ნაცნობობას და მიმოწერას ინგლისელი ქალის საქართველოში პირველად ყოფნისას — 1895 წლიდან ჩაყრია საფუძველი, რომელიც მარჯორის სიკვდილის შემდეგ ოლივერ უორდროპთან გაგრძელებულა (აქვეა ადრინდელიც და 1910-11 წლებით დათარიღებული მისი წერილები ოლივერისადმი). სად შეეძლო ვენერა ბერიძეს პირადად გაეცნო მარჯორი და ოლივერ უორდროპები?

ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჩვენი ცნობილი კოლექციონერი და მწერალი პაპუნა წერეთელი. მისი გადმოცემთ, რომელიც დამყარებულია იუნონა ტელეშაქის ასულ გურიელ სანდო ცნობებზე, ტელეშაქ გურიელს, ცნობილი პოეტის მამია გურიელის ძმას, ცოლად ჰყოლია ნინო სიოს ასული ბერიძე, ხოლო ვენერა მისი ცოლისდა ყოფილა. 1895 წლის იანვარში გურიაში მოგზაურობისას, მარჯორი და ოლივერ უორდროპები სუფსაში ტაბმრად სწვევიან ტელეშაქ გურიელს და აქ ორი დღე დაუყვიათ, რის თაობაზე თვითონ მარჯორიც წერს თავის „1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შენიშვნებში“:

„...ჯუმათიდან წავედით სუფსაში, ადაც ორი დღე გავატარეთ გურიის თავადის რეზიდენციაში. ეს თავადი მე-19 საუკუნის დასასრულამდე მართავდა მთელ პროვინციას. მთავრის ოჯახი ყოველმხრივ შესანიშნავია. მის წევრთა გარეგნობა მეტად განსხვავებულია. სხვა დამახასიათებელ თვისებათა შორის ჟღსანიშნავია მათი საუცხოო ხუჭუჭი თმა. გურიელა იშვიათად ატარებს ქუდს, რადგან თმა კარგად იფარავს მას ზამთრის სიცივისა და ზაფხულის სიცხისაგან: მისი განსაკუთრებით სწორი და დახვეწილი ნაკვთები განსხვავებულია ისეთი გამომეტყველებით, რომელშიც ჩანს ინტელექტი და ბაუცხრომელი სულიც... გურიამ ქვეყანას მისცა ქართველ პოეტთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო — მამია გურიელი, რომელიც 1891 წელს გარდაიცვალა. მეელი ქვეყანა იცნობს მის ლექსებს, თუმცა ყველა მათგანი დასტამბული არ ყოფილა. ტელეშაქ გურიელი — ოჯახის ახლანდელი უფროსი, მშობლიური ლიტერატურის დიდი ენთუზიასტია“ (ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, „მარჯორი უორდროპი“, 1965, გვ. 46). სწორედ აქ გაუცანიათ და-ძმა უორდროპებს „კარგი ადნაგობის ყმაწვილი ქალი“, რომელიც ვენერა ბერიძეა.

უორდროპებისა და ბერიძე-გურიელების ნაცნობობა ახლო, მჭიდრო მეგობრობაში გადაზრდილა. ოქსფორდში დაცულია ტელეშაქ გურიელისა და მისი მეუღლის — ნინო ბერიძე-გურიელის მიერ 1895-1912 წლებში გაგზავნილი წერილები უორდროპებისადმი (სულ 5 წერილია), ხოლო ფოტოალბომებში ჩაკრულია მამია გურიელისა და ნინო ბერიძე-გურიელის სურათები. ამას გარდა, ხელნაწერთა ფონდს შემოუნახავს მამია გურიელის „ალაგერდის“ მარჯორისეული ნუსხა.

პაპუნა წერეთლის სიტყვებით, „ოლივერ უორდროპს ნინო ბერიძე-გურიელის დიდად განთლებული დის — ვენერა ბერიძის შერთვა სდომებია, მაგრამ ნათესავებს არ უქნიათ, უთქვამთ, მაგ სიშორეს როგორ უნდა გავთხოვოთო, ხომ სამუდამოდ დაგვეკარგებაო. სიკვდილის წინ მარჯორი სთხოვდა თურმე ძმას: საქართველოში წადი, ვენერა შეირთე და ეს ჩემი ნივთები მას მიართვიო. ოლივერი ამ მიზნით ჩამოსულა კიდეც 1911 წელს საქართველოში, მაგრამ ვენერა უკვე როსტომ წერეთელზე ყოფილა დანიშნული. ოლივერი ინგლისში გაბრუნებულა, ოღონდ ვენერასათვის ჩამოტანილი ნივთები უკან აღარ წაუღია და მისთვის მიურთმევია, როგორც მარჯორის ნაანდერძევი. შემდეგ შვილ ოლივერმა ცოლი შეირთო (ნორვეგიელი ქალი მარგარეტ კოლეტი, გ. შ.), ვაჟი ეყოლა, რომელსაც სახელად ფარნაოზი დაარქვა („ქალი რომ ყოფილიყო, ვენერას დავარქმევდიო“, — იწერებოდა თურმე). სამწუხაროდ, ამ დიდი მეგობრობის ნიშნად მცირე რამ დარჩა, მხოლოდ მარჯორისეული ქართული დაწერილი ერთი ბარათი (აქვეა მოყვანილი მარჯორის 1895 წლის 20 ნოემბრის წერილი ნინო ბერიძე-გურიელისადმი, გ. შ.). უორდროპებს დიდი სურვილი ჰქონთათ ერთ-ერთი ქართველი ახალგაზრდა აღეზარდათ და კიდეც წაუყვანიათ თან პატარა ალექსი ბერიძე (მარჯორის აღნიშნულ ბარათში სწორედ მასზეა საუბარი, გ. შ.), რომელიც შემდეგში თბილისში მსახურობდა“ (იხ. პ. წერეთელი, „მამია გურიელი და მისი ძმები“, „საქართველოს ქალი“, 1973, № 1, გვ. 17-18).

ვენერა ბერიძე ქუთაისში კარგად ცნობილი პედაგოგი და პატრიოტი ქალი ყოფილა. მისი ერთი შესანიშნავი უცნობი წერილი ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობის შესახებ ამას წინათ უკვე გამოვაქვეყნეთ (იხ. „კომუნისტი“, 22. XI. 1981, № 269). აქ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ვენერა ბერიძის მეორე უცნობი წერილის ერთ ადგილზე, სადაც იგი 1908 წლის 10 ივნისს ქუთაისიდან სწერს მარჯორი უორდროპს: „ახლა აკაკიც აქ არის. ძლიერ მოხუცდა... გაზეთებიდან შეიტყობდი რა ორი ძვირფასი მამულიშვილები დაჰკარგა კიდევ საქართველომ: პეტრეაშვილი და თარხნიშვილი. ასეა, სულ გვაკლდება და გვაკლდება ძველები, ახალი, სამაგიერო კი არავინ არ გვემატება. ასეა ჩვენი ქვეყნის უკუღმართი ბედი!“

აი, სწორედ ამ ვენერა ბერიძეს, წერეთლების ახლად დანიშნულ სასძოს, 1911 წლის 8 ოქტომბერს, საჩხერეში მარჯორი უორდროპის ანდერძის აღსასრულებლად ჩასულ ოლივერ უორდროპისთვის უკანასკნელად გამქოვნებულ უართან ერთად ახალი სანთესაოს — საწერეთლოს უძველფასესი საგარეკელო რელიკვია — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძველი საუკეთესო ხელნაწერი უსახსოვრებია მასზე. უიმედოდ შეყვარებული არისტოკრატის — ინგლისელი დიპლომატისაგთვის!

სამწუხარო ბედი სწვევია როსტომ წერეთლის ახლად შერთულ მეუღლეს: სულ მალე, 1912 წლის 4 თებერვალს სილოვან ხუნდაძე ქუთაისიდან ატყობინებდა ოლივერ უორდროპს, „ვენერა ბერიძე ორსულობას გადაჰყვაო.“

მაშასადამე, 1911 წლის ოქტომბრიდან, კიდევ ერთმა წერეთელისეულმა „ვეფხისტყაოსნმა“ უორდროპთა ოჯახში დაიდო ბინა და დღეს ოქსფორდს ინახება.

ხელნაწერის აღწერილობისას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ მასში ჩართულ 48 ილუსტრაციას, სინამდვილეში კი 51 მინიატურას შეიცავს. ამას გარდა, ხელნაწერის ადგილზე გულდასმით შესწავლისას ირკვევა, რომ 174-195-ე ფურცლებს შორის 2 ფურცელი ამოხეულია, გადარჩენილია ყუები. ერთი მათგანი ილუსტრაცია უნდა ყოფილიყო, წარწერის ფრაგმენტია მოღწეული: „აქ...“. 175-176-ე ფურცლებს შორის კვლავ ამოხეული ფურცელი ისევ ილუსტრაცია ჩანს, რადგან დადარჩენილია წარწერის დასაწყისი: „აქა ტარი...“, ხოლო 180-181 ფურცლებს შორის ამოხეული ფურადი მინიატურიდან მხოლოდ ყვავილის ტოტიღა მოჩანს. ასევე ფერადი მინიატურები ყოფილა 235-236-ე ფურცლებს შორის ამოხეულ ორ ფურცელზე. ასე რომ, ჩვენს ხელნაწერებში თავიდან სულ ცოტა 60-მდე ფერადი ილუსტრაცია უნდა ყოფილიყო ჩართული.

ხელნაწერზე სხვადასხვა დროს გაკეთებული დიდად საყურადღებო მინაწერებიდან რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მხოლოდ მზეხათუნ ბატონიშვილის (იმერეთის მეფის დავითის ასული, გარდ. 1830 წელს) ერთადერთი მინაწერია ცნობილი, აგრეთვე, ზოგადად მოხსენიებულია გოგია ბატონიშვილის ლექსები და ილუსტრაციების მეორე მხარეს ქართული ასოებით მიწერილი ქართული, სპარსული, ლეკური და თურქული ლექსები თუ წარწერები. მაგრამ ამათ გარდა, ხელნაწერში გვხვდება უფრო ძველი და დიდად საინტერესო მფლობელების მინაწერები: „ეს ვეფხის ტყაოსანი დიაღ ცუდი დაწყობილია, ნახატიც კარგია და ხელიც, მარა მის-მის ალაგს არ არი“ (33r); „ესე წიგნი ვისი არის, ნახეა მისი მადლი არის“ (37v), „ჩემო სიცოცხლის მაამო დაო ბატონო ეკატერინე, შენი და დარეჯან ხელს გაკოცებ, მერმეთ ჩემო ბატონო...“ (42r), „ვლადიმერ ერმალოზისძე წერეთელი (51v რუსულად), „ჩემო მაია, დედა შენი იტიტა პირს გაკოცებ, შენმა სიცოცხლემ წიგნი ისწავლე“ (65r), „ჩემო სულო და გულო ჩემო ძამია თეიმურაზ შენი და აგიშვილის ქალი მაია მშვენიერს ქორს გაკოცებ“ (91v), „ესე წიგნი ეკატერინესი არის და ღმერთმა შეახმაროს“ (92v), „ჩემო სიცოცხლე და სულის დგმავ ბატონო სალომე შენ და ეკატირინას ლამაზს თვალებს გაკოცებ...“ (116r), „ქავთარაძის ქალი მარიამ დაიბადა ოცდახუთს დეკემბერს. ღმერთო, აცხოვნე“ (122r), „აგიშვილის ასული მაია“ (151r) „აგიშვილის ასული მაია აქანა კითხულობს“ (163v), „ამილახვარი“ (167r), „დავით მდივნის შვილი იოსებ დაიბადა იანვრის...“, „ქ. პეტრეს ქალი მარიამ დაიბადა სამს მარტს დამდეგს“ (198r), „ქ. დაო ბატონო წერეთლის ასული ეკატერინე... რომ ეს წიგნი...“ (199v), „ქ. შენი ჭირი შემეყაროს, შენგან შეტკბობილს დას ეკატერინეს და... ბატონო სალომე შენ და ეკატერინეს ლამაზს თვალებს ამოგიკოცნი“ (199v), ასევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს 22-ე და 23-ე ფურცლებს შემდეგ ჩამოხეულ კაბადონებს, რომლებზეც შემორჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ ორ ათეულამდე სტროფის დასაწყისი და ბოლო სარითმო სიტყვები („მთით ჩამოვ...“ და სხვ.). დღეს ისინი ფურცლითა სათვალავში არ შედის, არადა, ძველი ხელნაწერის ფრაგმენტს წარმოადგენს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ამ ხელნაწერის თავდაპირველი მოცულობისა და სტროფული შედგენილობის განსაზღვრა.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ასევე საუკეთესო ნუსხის — d-27-ის მინაწერებს, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ უცნობ, დიდად საყურადღებო მფლობელობის მინაწერს, რომელიც იმდენად გადასულა ყამთა სრბოლაში, რომ ძლივს იკითხება: „ესე ვეფხვის ტყაოსანი მატეი ივანჩის არის, ვინც ამ წიგნს მოიპარავს, ნუ ეღირსოს ცხონება“, (55r). მფლობელის რუსული ფორმით მოხსენიება ხომ არ ნიშნავს, რომ იგი ერთ დროს ვახტანგ VI-ის კოლონის რომელიმე წევრს ეკუთვნოდა, რუსეთში რომ იყო გადახვეწილი? რაც შეეხება მ. სტურუას ცნობას, თითქოს ოქსფორდში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ხელნაწერის „სატიტული ფურცელზე ეწერა, რომ წიგნი მზითვად გაეტანებინოთ ვინმე კლდიაშვილის ასულისათვის“, არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. ვფიქრობთ, მას აგიშვილის ნაცვლად კლდიაშვილი ამოუკითხავს.

გურამ შარაძე.

(გაგრძელება იქნება)

● ●

სურათზე: პირველ რიგში, სხედან მარცხნიდან პირველი — ექვთიმე თაყაიშვილი, მესამე — ტასო მაჩაბელი, მეხუთე — ოლივერ უორდროპი, მეორე რიგში, დგას მეხუთე — დავით სარაჯიშვილი, წინა პლანზე — იაკობ ნიკოლაძე და სარგის კაკაბაძე (ფრაგმენტი). სურათი გადაღებულია 1911 წლის 24 იანვარს, თბილისში.

ორი გამარჯვება სტარტზე

თბილისში გრძელდება კალათბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე წრის მეოთხე ტურის შეხვედრები. მოსკოვის ცსკა და კიევის „სტროიტელი“ დამაჯერებლად ლიდერობენ ჩემპიონატში. მეორე დღეს არმიელებმა დაამარცხეს ტალინის „კალევი“ — 82:77 (36:35), ხოლო კიეველებმა — თავიანთი თანამემამულე არმიელი სპორტსმენები — 109:79 (48:34).

როგორც მოსკოვის არმიელთა გუნდს, ასევე კიევის „სტროიტელს“ განაღდებული აქვთ ადგილი უძლიერეს რვა გუნდს შორის — მათ თითოეულს 15-15 მოგება აქვთ. უძლიერესთა შორის დაჯავშნული აქვს ადგილი მოსკოვის „დინამოსაც“ (11 მოგება), თუმცა იგი ამ დღეს დამარცხდა ასპარეზობის მასპინძელთან თბილისის „დინამოსთან“ 95:101 (49:44).

მიზანთან ახლოს არიან ლენინგრადის „სპარტაკი“, რიგის ვეფი და კაუნასის „ჟალგირისი“. ასპარეზობის მეორე დღეს ლენინგრადელებმა სძლიეს ვილნიუსის „სტატებას“ — 87:85 (36:33), რიგის ვეფმა — კუნიშევის „სტროიტელს“ — 89:80 (49:52), ხოლო „ჟალგირისმა“ — მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის გუნდს — 105:87 (49:44).

გუშინ გაიმართა მესამე დღის შეხვედრები.

არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის (მოსკოვი) გუნდმა ახალი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან ანგარიშით 98:67 (47:30). წარმატებით ასპარეზზე კიევის „სტროიტელმაც“.

უძლიერესნი

ევროპის ჩემპიონი დონეცკელი ელენა ელისეევნა და მოსკოველი კონსტანტინე პუგაევი მეთაურობენ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა სიას, რომელიც შედგა 1981 წლის შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

ელისეევას შემდეგ ათეულში შედიან აგრეთვე: ლ. მაკაროვა (მოსკოვის ოლქი), მ. კროშინა (კიევი), ე. გიშაანი (ბაქო), ი. სალნიკოვა, ო. ზაიცევა (ორივე— მოსკოვი), ნ. ბოროდინა (მინსკი), ნ. ჩმირიოვა (მოსკოვი), გ. ბაქშევეა (კიევი) და ა. კრასკო (ლენინგრადი); ვაჟთა შორის: ვ. ბორისოვი, ა. ზვერევი, ა. ბოგომოლოვი (ყველა — მოსკოველი), ს. ლესნიუკი (მინსკი), ი. ფილევი, ო. გავრილოვი (ორივე — კიევი) ს. გრუზმანი (ლვოვი), ა. ზავგოროდნი (როსტოვი) და ა. ვოლკოვი (მოსკოელი).

„საბჭოთა მედიცინა“ №6

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — დიდი ოქტომბერი და პროფილაქტიკური მედიცინა.

ჟურნალს აქვთ განყოფილებები: „თეორიული და კლინიკური მედიცინა“; „პროფილაქტიკური მედიცინა“; „პრაქტიკოსი ექიმის დასახმარებლად“; „შემთხვევები პრაქტიკიდან“; „სიახლე მედიცინაში“; „სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია“; „დეონტოლოგია“; „მთავარი სპეციალისტის ტრიბუნა“; „ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის“; „ჩვენი კალენდარი“; „ინტერვიუ“; „რეცენზიები“; „წერილები, კორესპონდენციები“; „ქრონიკა და ინფორმაცია“. აქვეა დაბეჭდილი ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ 1981 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი.

თ. დოლიძე

გარდაიცვალა რევოლუციისა და შრომის ვეტერანი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1919 წლიდან თებერონე ეკვთიმეს ასული **დოლიძე.**

თ. დოლიძე დაიბადა მახარაძის რაიონის სოფელ ბახვში 1900